ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 13 სექტემბერი 2004 №212 (2233) ფასი 50 თეთრი




## დიდი მადლობა დიდ ბიჭებს!

ბადრი კეთილაძის ფოტო

## საქართველო 85:78 ფინეთი

საქართველოს ჩემპიონატი უმაღლესი 16 ლიგა 6 ტური

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

თბილისი. 12 სექტემბერი. 16 საათი. ოლიმპი. 500 (ტევადობა 3 000)

## თბილისი 3:1 სიონი

0:1 რუსია (70), 1:1 ოდიკაძე (75), 2:1, 3:1 მიქაძე (77, 90)

| თბილისი | სიონი |
|---|---|
| თბილისი: დევაძე (შეყრილაძე 65), ქემოკლიძე, გ. კვარაცხელია, ორბელაძე, გეწაძე (მიქაძე 74), გოგუა, დ. ოდიკაძე, ხოჯავა, ელიავა (მიკუჩაძე 46), ფიფია, იაშვილი. სათადარიგონი: ჯიქია, მესხი, მიქიაშვილი. მწვრთნელი: გიორგი დევდარიანი | სიონი: ასლანაძე, კობაური (დ. არჩვაძე 87), ლამბაშიძე, ზაზაშვილი, ცქვიტაია, ნ. ლაბაძე, გ. დოლიძე (ბ. შელია 68), ფეიქრიშვილი, გ. კილასონია, მიქავა, რუსია. სათადარიგონი: ბობლიაშვილი; ოქროპირიძე, გ. ჩალაძე, კორსანტია, სოხაძე. მწვრთნელი: ვარლამ კილასონია |

გაფრთხილებები: ფეიქრიშვილი (23), ქემოკლიძე (25), ლამბაშიძე (52), გ. კილასონია (65), ხოჯავა (68), კობაური (72)

მსაჯები: ა. შილაკაძე; მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი), ი. აფციაური (დუშეთი); მ. მალაღურაძე (თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე



„თბილისი" ხარობს, სანდრო იაშვილი (№23) კი ბევრს ეცადა, მაგრამ დებიუტი მაინც უგოლო გამოუვიდა

# თბილისური ოდოია ოდიკაძემ დაიწყო

კახა შალამბერიძე

გუშინდელი მატჩის მთავარი თემა — სანდრო იაშვილი: თბილისის „დინამოდან" წასული, რუსეთში თამაშის გაგრძელების მოსურნე, მაგრამ საბოლოოდ „თბილისში" განათხოვრებული მართლაც უნიჭიერესი თავდამსხმელი. გუშინ იაშვილმა პირველად მოირგო „თბილისის" მაისურა. ყველაფერი ისე იყო, როგორც ადრე — ცნობილი ტატუ მარჯვენა მკლავზე, მუხლსზემოთ აწეული გეტრები, ბურთის მოთხოვნით მუდამ გაშლილი ხელები... არ იყო მხოლოდ გოლი, რომლითაც ფასობს ხოლმე თავდამსხმელი და განსაკუთრებით იაშვილი.

„თბილისი" — „სიონი" იმაზე მეტად დაძაბული და ძნელად პროგნოზირებადი გამოდგა, ვიდრე წარმოვიდგენდით. მთავარი მოვლენები კი მეორე ტაიმში ვნახეთ. ჰოდა, იმის გამო, რომ პირველ ნახევარში საინტერესო ბევრიც არაფერი მომხდარა, შესვენებისშემდგომ ამბებზე გეტყვით.

უგოლო ტაიმის მერე თბილისელებმა თამაშის გამწვავება სცადეს, ბურთიც იოლად ჩაიგდეს, თუმც მომენტებს „სიონი" ქმნიდა. ისე არ გეგონოთ, ვითომ ბოლნისელებმა აკაკი დევაძეს საჯარიმო აუტალახეს, მაგრამ ერთი-ორჯერ მართლაც მწარედ უჩხვლიტეს.

56-ე წუთი იყო, მამუკა რუსიამ სისწრაფეში რომ დაჯაბნა თბილისელი მცველები და მეკარესთან პირისპირ გავიდა — დარტყმული დევაძის თითების წახმარებით ძელმა აისხლიტა, თუმც ბურთმა ისევ რუსია მოძებნა. რად გინდა, ბოლნისელთა ფორვარდის ხელმეორე გასროლილსაც არ მისცა დევაძემ კარში შესვლის ნება. მომენტი ისეთი დინამიკური იყო, რომ როდის დაშავდა საქართველოს ნაკრების კარის დარაჯი, ვერ გავიგეთ. კაკოს ექიმებმა კი უწამლეს, მაგრამ თამაშის გაგრძელება მაინც ვერ შეძლო და ადგილი ბექა შეყრილაძეს დაუთმო.

70-ე წუთზე მამუკა რუსიამ ერთხელაც ჩაიქროლა, ბურთი მოათვინიერა და შორეულ მაღალ კუთხეში გაუტანა შეყრილაძეს. ბოლნისელებმა გაიხარეს — 0:1.

აქამდე არცთუ დალაგებულად მოთამაშე „თბილისს" კიდევ უფრო უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ დავით ოდიკაძემ იყოჩაღა და ხუთ წუთში გაათანაბრა ანგარიში. „ოდოს" დარტყმულმა ბურთმა მცველის ფეხზე გახახუნების შემდეგ ინება კარში შესვლა — 1:1.

სად იყო და სად არა, შეცვლაზე შესულმა გიორგი მიქაძემაც გამოილო ხელი. ოდიკაძის გოლიდან ორიოდ წუთში გოჩა ხოჯავამ იდეალური პასი მისცა მიქაძეს, რომელმაც ახლოდან გაიტანა და „თბილისმა" თამაში გადაარჩინა.

ამასობაში იაშვილი გამხეცდა — ახალგაზრდა თავდამსხმელს გულით ეწადა, თბილისური დებიუტი გოლით აღენიშნა, მაგრამ არ გამოუვიდა. არადა, ორივე გოლისას თავადაც ახლოს იყო მიზანთან, თუმც ბურთს ვერა და ვერ მისწვდა.

90-ე წუთზე კი ისევ გიორგი მიქაძემ გაიბრწყინა და ისევ იაშვილის „ხარჯზე", სანდრო კოკა მიკუჩაძის ჩაწოდებულს ვერ დაუხვდა რიგიანად, თუმც მის გვერდით მყოფმა მიქაძემ შანსი ხელიდან არ გაუშვა — 3:1.



ბოლნისელი მამუკა რუსიას (№26) გოლმა ავლაბარში სენსაციის სუნი დაატრიალა

# ბოლნისში ნაკრებმა ივარგა, ნაკრებში ამერმა

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები 18 სექტემბერს ფინეთში მიემგზავრება, სადაც ევროპის ჩემპიონატის პირველ შესარჩევ ეტაპზე ითამაშებს. ამ ეტაპზე გუნდები 12 ჯგუფში არიან განაწილებულნი. ჩვენი ნაკრების მეტოქეები მასპინძელი ფინეთი, საბერძნეთი და მაკედონია იქნებიან. მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე პირველ და მეორე ადგილებზე გასულები და საუკეთესო მესამეადგილოსანი გავლენ.

საკვალიფიკაციო ეტაპისთვის მზადება თამაზ კოსტავას ნაკრებმა აგვისტოში, გერმანიაში შეკრებით დაიწყო. ლევან კობიაშვილის დახმარებით ჩვენი 17-წლამდელები „დორტმუნდის", „შალკეს" და „დუისბურგის" ახალგაზრდულ შემადგენლობებს გაეჯიბრნენ. პირველი მატჩი ქართველებმა წააგეს, მეორე ფრე იყო, მესამე კი მოიგეს.

ნაკრებმა მომდევნო ამხანაგური მატჩი გუშინწინ ბოლნისში ჩაატარა და მისი მეტოქე აზერბაიჯანის ამავე ასაკის ნაკრები იყო. ჩვენებმა 2:0 მოიგეს.

მატჩის საუკეთესო მოთამაშის პრიზი ამერელმა რატი წინამძღვრიშვილმა მიიღო და ამგვარი გადაწყვეტილების სისწორეში ეჭვს ძნელად შეიტანდით. პირველივე წუთებზე წინამძღვრიშვილმა ბურთი ხარიხას გაარტყა. მალე თანაკლუბელი დავით მჭედლიშვილი გაიყვანა კარგ პოზიციაზე, მაგრამ მისი დარტყმული კარს სულ ოდნავ ასცდა. მომდევნო ჯერზე წინამძღვრიშვილმა უკვე ბარაბაძეს მისცა კარგი პასი, მაგრამ კარში დარტყმა სუსტი გამოდგა.

ამ ეპიზოდების მერე, 26-ე წუთზე, ქართველებმა ანგარიში გახსნეს. აზერბაიჯანელმა მცველმა გიორგი ნიკოლაიშვილი საჯარიმოს სიახლოვეს, მარცხენა ფლანგზე წააქცია. ჯარიმის დარტყმა მჭედლიშვილმა ითავა და რომ ელოდნენ, საჯარიმოში ჩაჰკიდებსო, პირდაპირ კარისკენ გაისროლა — 1:0.

გოლიდან სამ წუთში ჩვენებმა მეორეც გაიტანეს. წინამძღვრიშვილმა საჯარიმოს გარედან დაარტყა და მარჯვენა დაბალ კუთხეში შეაგდო.

საერთოდ, 17-წლამდელთა ნაკრებში „ამერის" ხუთმა ფეხბურთელმა ითამაშა, ამდენივეც ყოფილი ამერელი იყო.

შესვენებამდე გამოსარჩევი მეტი არაფერი მომხდარა. გოლი არც მეორე ტაიმში გასულა, მაგრამ აზერბაიჯანელთა კართან რამდენიმე სახიფათო მომენტი კიდევ შეიქმნა. მჭედლიშვილის მორიგ ჯარიმას სტუმართა საჯარიმოში ჩოჩქოლი მოჰყვა, რითაც ბექა გოცირიძემ ისარგებლა, მეკარის ბაქნიდან დაარტყა, თუმცა მეკარეს ვერ ააცილა. მერე მირზა ბჟალავამ გაიყვანა წინამძღვრიშვილი მეკარესთან პირისპირ, გოლიც გავიდა, მაგრამ მიღებისას წინამძღვრიშვილს ბურთი ხელზე მოხვდა და მსაჯმა გოლი გააუქმა.

რატის ერთი კარგი მომენტიც ჰქონდა, მახვილი კუთხიდან დაარტყა და შორეულ ძელს ოდნავ ააცილა, არადა, ულამაზესი გოლი იქნებოდა. ბოლო სახიფათო მომენტი კი ბჟალავასი იყო, მცველს ბურთი მოპარა, პირისპირ გავიდა, მეკარეს კი ვერ აჯობა.

დღეს ქართველი და აზერბაიჯანელი 17-წლამდელები კიდევ ერთხელ შეხვდებიან ერთმანეთს.

ბოლნისში კი ქართველმა 17-წლამდელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს:

*თევდორაძე, ფირანიშვილი, მამნიაშვილი, ელბაქიძე, ნასრაშვილი (გოგოხია 59), ბარაბაძე (ბჟალავა 46), ნიკოლაიშვილი (გუგავა 56), განუგრავა (იაშვილი 75), მჭედლიშვილი, გოცირიძე (შერმადინი 73), წინამძღვრიშვილი.*

სარბიელელები შეუღლებას ულოცავენ
კობა ინასარიძეს და
ნინო კედელაშვილს
უსურვებენ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, გამარჯვებას და გახარებას.

გიო ახვლედიანის ჩარეკვის ჩენელი ღ

# პირველი ადგილი

ნამეტანი ხმამაღლა კი გამოვა მოძველებული ამბის პირობაზე, მაგრამ მაინც ასე დავიწყებ: ვიშ, რა კარგია, რომ საქართველოს ნაკრები პირველ ადგილზეა შესარჩევ ჯგუფში.

ისე მიხარია, რომ ცუდი თითქმის ყველაფერი მავიწყდება, იმაში კი, რაც მახსოვს, არის ერთი პატარა ამბავი:

ერთხელ როგორღაც ისე მოხდა, რომ პრემიერლიგას ოთხი ტურის თავზე სათავეში მოექცა „ჩარლტონ ატლეტიკი" და კლუბის საქმოსნებმაც არ დააყოვნეს, სასწრაფოდ გამოუშვეს მაისურა, რომელზეც პრემიერლიგის ცხრილი იყო მიბეჭდილი და ეწერა — „ჩარლტონი ლიდერი".

ეს კარგი კომერციული და სახალისო ამბავი იყო, ოღონდაც მე მაინც შიში მაქვს. როგორც ლიდერობაში გამოუცდელი ქვეყნისა და ფეხბურთის წარმომადგენელს, კიდეც მახარებს და კიდეც მაშფოთებს ეს პირველი ადგილი. „ჩარლტონში" იციან, რომ ისინი ჩემპიონები ვერ გახდებიან. ეს ხელს არ უშლის ამ პატარა და კოხტა კლუბს, რომ ადგილ-ადგილ მშვენიერი ფეხბურთიც ითამაშოს, ხოლო თუ რამეს გამოჰკრავს ხელს, აღარ უნდა გაუშვას.

ჩვენ კი, როგორღაც ისე გამოდის, რომ სულ თავიდან, ახლიდან ვიწყებთ ყველაფერს და ამ საქმეში ტკბობა მხოლოდ შედეგითა და ანგარიშით და არა მაინცდამაინც ლალი ბურთაობით, ანუ რაც ტრადიციულად მოგვწონდა, იმით შეგვიძლია. გასვლაზე ფრეს ჩვენ შეუჩვევლები ვართ. შინ ამნაირ მოგებებსაც შეუჩვეველი. საერთოდ, ჩვენ შეუჩვეველი ვართ იმას, რასაც საქართველოს ნაკრები თამაშობს ალენ ჟირესის ხელში. შეიძლება, ეს მთლად იმნაირი რამ არ არის, რასაც ფეხბურთში **DOGFIGHT**-ს (ანუ ძაღლების ჩხუბის სტილში თამაშს) ეძახიან, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც იმას ჰგავს. ეს არის ღია თამაში, ოღონდაც, სწორედ რომ ძაღლების ჩხუბივით ღია. ასე თამაში ძნელია. ამიტომაც ჯერჯერობით მხოლოდ შედეგი გვიხარია და ამ დღეებში ხშირად გაიგონებთ, ბიჭები თავს იკლავენ, მაგრამ, აბა, მაინც როგორი იერი აქვს თამაშსო, ალბანეთი ასე და ისე გამოიყურებოდაო.

იცით, რა? მოდი, ვნახოთ, როგორ იქნება საქმე. წინ უამრავი მატჩია: ორი დანია, ორი საბერძნეთი, ორი უკრაინა.

საქართველო, თუ სწორად მიდის გზაზე, სწორედ გზადაგზა აკრეფს უამრავ რამეს. მანამდე კი რატომ არ გავიხაროთ?

ვიშ, რა კარგია, რომ საქართველო პირველ ადგილზეა შესარჩევ ჯგუფში!

ჩარლტონი იქით იყოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერთი, ორი, სამი...
## ფოთი სამასიანს არ ჰგავს

თბილისი. 11 სექტემბერი. 18 საათი. ეროვნული. 200 (ტევადობა 70 600)

### დინამო 4:0 კოლხეთი

| 1:0 კვირკველია (4), 2:0 კაკალაძე (13), 3:0 გონჩაროვი (44), 4:0 მელქაძე (90) | |
|---|---|
| დინამო: მამალაძე, შაშიაშვილი (კანდელაკი 55), ლ. სალუქვაძე, ჭიჭველიშვილი, კვირკველია, გრიგალაშვილი, კანკავა (კაშია 54), ნემსაძე, კაკალაძე (ალადაშვილი 66), გონჩაროვი, მელქაძე<br>*სათადარიგონი:* ზოიძე; გიგაური, ბურდული, დვალი<br>მწვრთნელი: გია გეგუჩაძე | კოლხეთი: ქვაჩახია, ჯ. შალამბერიძე, აკობია, გ. კილასონია, ჭითანავა, ქუტიძე, თაყაძე (კუნჭულია 41), დ. ნარსია, მ. ქობულაძე (ნ. ნარსია 68), მარგალიტაძე, ძოძუაშვილი<br>*სათადარიგონი:* გ. შენგელია; ლონდაძე, ვართაგავა, ხურცილავა, ზ. ქუთათელაძე<br>მწვრთნელი: დავით მახარაძე |
| მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი; პ. დოგრაშვილი (სამივე ქუთაისი) | |
| სფფ-ის ინსპექტორი: ვ. ბარქაია | |

**დავით თავართქილაძე**

ფოთი კრაკოვი არ არის, მაგრამ „კოლხეთი“ თუ ასეთი უბადრუკი სპარინგ-მეტოქე იქნებოდა „დინამოსთვის“, ამაში ცოტა ეჭვი კი გვეპარებოდა. მაგრამ იმაში კი დიდად გვეპარება ეჭვი, რომ „კოლხეთის“ წლიური ბიუჯეტი მინიმუმ 300 ათასი ლარია, რასაც საქართველოს ფეხბურთის პროფესიული ლიგა ჩემპიონატის დაწყების წინ მოითხოვდა უმაღლესლიგელი კლუბებისგან. ერთი სიტყვით, „კოლხეთი“ სამასათასლარიან გუნდს ნამდვილად არ ჰგავს.

ასეა თუ ისე, „ვისლას“ წინ „დინამომ“ ეროვნული ჩემპიონატის რიგითი მატჩი ითამაშა და იოლად მოიგო ის — მსგავსი უინტერესო შეხვედრების რიგს ერთიც მიემატა.

ჩვენც სხვა რა დაგვრჩენია, გოლების აღწერას მივყვეთ. დავით კვირკველიამ „კოლხეთის“ საჯარიმო მოედნის წიბოს სიახლოვეს დანიშნული საჯარიმო დარტყმა საგოლედ შეასრულა — ბურთი ზურაბ ქვაჩახიას კარის შორეულ მაღალ კუთხეში შეფრინდა.

*გოლი მეორე:* ლევან მელქაძემ მოხდენილი პასი გაუჭრა შოთა გრიგალაშვილს, ვინც მიხეილ კაკალაძეს ლამის ლანგრით მიართვა საგოლე პასი და თამაშიც, შეიძლება ითქვას, აქ დამთავრდა.

ამის შემდეგ „დინამომ“ ორი შანსი გაფლანგა — ჯაბა კანკავამ თავურით ააცილა მიზანს, ხოლო ბორის გონჩაროვს ქვაჩახიამ არ დაანება გატანა.



პირველი გოლი კოლხთა კარში ექსკოლხი დავით კვირკველიასი იყო

*გოლი მესამე:* გონჩაროვი „კოლხეთის“ საჯარიმოში შეიჭრა, ერთი მეტოქე ჩამოიცილა და ღონიერი დარტყმით შეარხია ფოთელთა კარის ბადე.

შესვენების შემდეგ რელაქსირებულმა „დინამომ“ მეტოქეს ნება დართო, საგოლე მომენტები შეექმნა, მაგრამ ილო ქუტიძემ, მერაბ ძოძუაშვილმა და ნოშრევან ნარსიამ ზურაბ მამალაძეს ვერაფერი მოუხერხეს.

*გოლი მეოთხე:* შოთა გრიგალაშვილმა კარის გასწვრივ ჩააწოდა, მელქაძეს ერთი შეხებით გატანა არ გამოუვიდა, მაგრამ ბურთი ვერავინ ასწაპნა და მაინც შეაგდო ის ფოთელთა კარში.



ლადო ახალაიას „დინამოსთვის“ აღარ არტყმევინებენ

# რატომ აბრკოლებენ ახალაიას?

**სად არის** ლადო ახალაია? რატომ აღარ თამაშობს „დინამოში“? რატომ არ შეჰყავთ ის სამატჩო თვრამეტ კაცში?

აქამდე 22 წლის ახალაია „დინამოს“ ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი გახლდათ, უნივერსალი, ვისაც ნაირგვარ პოზიციაზე შეუძლია თამაში.

აქამდე ახალაიაზე ორი აზრი არ არსებობდა — ის ძალიან კარგი მონაცემების ფეხბურთელია და მალე მეტსაც მიაღწევს.

წინა შესარჩევ ციკლში ახალაია საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ერთ-ერთი ლიდერთაგანი იყო, შეიძლება ითქვას, მალხაზ ასათიანის შემდეგ გუნდის საუკეთესო ფეხბურთელიც, მაგრამ დღეს ის „დინამოს“ თვრამეტ კაცშიც არ არის.

ახალაია საღსალამათია და მთელი დატვირთვით ვარჯიშობს. რას უწუნებენ ამ ფეხბურთელს? აქამდე არც ერთ სპეციალისტს არ უთქვამს მასზე აუგი, მაგრამ დღეს „დინამოში“ სხვაგვარად ფიქრობენ — ამ შემტევისთვის გუნდში ადგილი აღარ არის.

წინა სეზონის ბოლოს „დინამოდან“ დათხოვნილ ივო შუშაკს რამდენიმე ფეხბურთელიც თან რომ მიაყოლეს, რას არ გაიგებდა კაცი — ეს თამაშს ამუხრუჭებსო, ის ძველი ბიჭიაო, იმას ხასიათი არ უვარგაო, მაგრამ ახალაიაზე რას იტყვიან?

ქართულ საფეხბურთო მიკროსამყაროში ყველამ იცის, რომ ახალაია არც ძველი ბიჭია, არც რეჟიმის დამრღვევი და ხასიათიც ნორმალური აქვს. მაშ, რად აბრკოლებენ 22 წლის ნიჭიერ ფეხბურთელს „დინამოში“?

**დავით თავართქილაძე**

ქუთაისი. 11 სექტემბერი. 16 საათი. ტორპედო. 2 500 (ტევადობა 20 000)

### ტორპედო 2:0 ბათუმი

| 1:0 მეგრელაძე (28), 2:0 ბოლქვაძე (61) | |
|---|---|
| ტორპედო: სტურუა, მემარნიშვილი, გამეზარდაშვილი, ს. თოდუა, ებრალიძე, ნერგაძე, კოშკაძე, ბოლქვაძე, ბაბუნაშვილი (რევაზიშვილი 90), გ. ჩხეტიანი (მერებაშვილი 73), მეგრელაძე (მუმლაძე 89)<br>*სათადარიგონი:* გ. გაბელია; ადუაშვილი, დათუნაშვილი, ლალაძე,<br>მწვრთნელი: ოთარ გაბელია | ბათუმი: გრიშიკაშვილი, ი. მახარაძე, ბეგლარ თედორაძე, გალოგრე (ჩიკვილაძე 68), ექონია, მანჩხავა (ი. შენგელია 60), ხუჯაძე, ქაცარავა, დარჩიძე, გ. ნოდ. ჭელიძე, ხომერიკი (ფირცხალაიშვილი 79)<br>*სათადარიგონი:* ბექტაშევი; ბესიკ თედორაძე, ჯანელიძე<br>მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე |
| გაფრთხილება: ხომერიკი (21), გრიშიკაშვილი (61), თოდუა (90) | |
| მსაჯები: ა. მეშკოვი (თბილისი); ა. სამხარაძე (სოხუმი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ა. კრიჭაშვილი (თბილისი) | |
| სფფ-ის ინსპექტორი: ე. სილაგავა; დირექტორი: ი. მჭედლიშვილი | |

# მეგრელაძის სიტყვა გოლია

**გია ამირანაშვილი** ქუთაისიდან

დღეს უკვე სადავო აღარ არის, რომ „ტორპედო“ ჩინებულ ფორმაშია. საბუთი, ა, ბატონო: 6 თამაშში 16 ქულა და ერთადერთი გაშვებული ბურთი. ქუთაისელები თითქმის ყველა მატჩში მეტოქეს დაცვიდან ეთამაშებიან. შეგნებულად უთმობენ ინიციატივას და თამაშს კონტრშეტევებზე აგებენ. თანაც საგოლე მომენტების რეალიზაციის პროცენტიც მაღალია. აკი თქვა კიდეც „ბათუმთან“ მატჩის შემდეგ ოთარ გაბელიამ, მირჩევნია, მთელი თამაში მოწინააღმდეგის უპირატესობით წარიმართოს და სამი ქულა ჩვენ დაგვრჩესო. ასე იყო შაბათის მატჩშიც. ინიციატივას თავიდანვე ზღვისპირელები დაეუფლნენ, თუმცა რეალური საგოლე მომენტი პირველად მასპინძლებმა შექმნეს: მეგრელაძემ ძლიერად დაარტყა, მეკარემ კი კუთხურზე მოიგერია ბურთი. ცოტა ხანში ხომერიკმა სწრაფი ჭელიძე გაიყვანა კარგ პოზიციაზე, მაგრამ ებრალიძემ ვარდნით განმუხტა სიტუაცია. ტაიმის შუაში „ტორპედო“ გააქტიურდა და მალე გოლიც გავიდა. ბოლქვაძემ მოედნის ცენტრიდან წაიღო ბურთი და საჯარიმოში კარგად გახსნილ მეგრელაძეს გაუგორა, რომელმაც ძლიერი დარტყმით გრიშიკაშვილს შანსი არ დაუტოვა. სხვათა შორის, ქუთაისელთა ბომბარდირმა თამაშის წინ მითხრა, „ბათუმს“ ერთ გოლს აუცილებლად გავუტანო და დანაქადი აასრულა კიდეც. ტაიმის ბოლომდე სტუმრებს გათანაბრების ჩინებული შანსი მიეცათ. მანჩხავამ საჯარიმოში დარჩიძე მოძებნა, რომელმაც სამიოდე მეტრიდან უხეიროდ დაარტყა, კარს ზემოთ გაგზავნა ბურთი.

მეორე ტაიმიც ბათუმელთა იერიშებით დაიწყო. სამწუთიან მონაკვეთში ჭელიძეს ორჯერ შეეძლო გატანა. ჯერ თავური ოდნავ ააცილა მიზანს, შემდეგ კი პირისპირ გავიდა სტურუასთან, მაგრამ მეკარემ თავგანწირული ნახტომით წაართვა ბურთი. ამის შემდეგ მოვლენები ჩვეული სცენარით განვითარდა: მასპინძელთა გააქტიურება და გოლი. კოშკაძემ კუთხური წინა ძელთან ჩააწოდა, ჩხეტიანმა თავით გადააგდო ბურთი და ბოლქვაძემ ასევე თავით ორამდე გაზარდა „ტორპედოს“ უპირატესობა. ამ გოლმა სტუმართა უკმაყოფილება გამოიწვია. ისინი გალოგრეს წინააღმდეგ უხეშობისთვის ჯარიმას ითხოვდნენ, მაგრამ მეშკოვმა გოლიც ჩათვალა და გრიშიკაშვილიც გააფრთხილა. დარჩენილ დროში ორივე გუნდის ფეხბურთელებს შეეძლოთ გატანა, თუმცა ანგარიში აღარ შეცვლილა.

*ამირან გოგიტიძე:* ურიგოდ არ გვითამაშია, ბიჭებმა კარგად იბრძოლეს, სამწუხაროდ, გოლი ვერ გავიტანეთ და დავმარცხდით. „ტორპედო“ კარგი გუნდია და მსაჯის დახმარება არ სჭირდება, მეორე გოლის დროს, ჩემი აზრით, ჯარიმა იყო. წელს ჩამოყალიბების პროცესში ვართ, მომავალში კი უფრო მაღალი მიზნები გვექნება.

*ოთარ გაბელია:* რვა დღე არ ვიყავი და გუნდს გელა კიკალეიშვილი ჩემი მითითებებით ამზადებდა. შედეგით, რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ. მეტოქის თამაში კარგად შევისწავლეთ და შესაბამისი ტაქტიკა დავუპირისპირეთ. დავიმატეთ მცველი მერებაშვილი, რომლისაც გვეიმედება.



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

მირზა მერლანი „ვიტ ჯორჯიას“ დაუბრუნდა და კარიც მშრალად შეუნახა

თბილისი. 11 სექტემბერი. 18 საათი. ლოკომოტივი. 150 (ტევადობა 26 500)

## ლოკომოტივი 0:0 ვიტ ჯორჯია

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი: გვარამაძე, გ. ონიანი, მახვილაძე, ბაქრაძე, ლ. ქებაძე, სიჭინავა, ლაცაბიძე, რ. ონიანი, სანიკიძე, გაგუა (გოგობერიშვილი 86), ბობოხიძე. სათადარიგონი: ბათიაშვილი; გ. ახალაია, ლ. ჩხაიძე, სოსელია, სირბილაძე, მედოევი. მწვრთნელი: ზაურ სვანაძე | ვიტ ჯორჯია: მერლანი, იმედაშვილი, ინწკირველი, თ. კობიაშვილი, კუპრეიშვილი (მარცვალაძე 58), ლ. ნოზაძე, პ. დათუნაიშვილი, დილმელაშვილი, გველესიანი, ვ. გოჩაშვილი, ადამია. სათადარიგონი: მამარდაშვილი; კვახაძე, მალიჩავა, ლ. კვარაცხელია, სახოკია, ე. მერებაშვილი. მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე |

გაფრთხილება: დილმელაშვილი (37), მახვილაძე (77), დათუნაიშვილი (81), ლაცაბიძე (85)

მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ზ. ჯვარიძე; ლ. ფანიაშვილი (ორივე თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

# ცოტა მომენტმა ცოტა ხალხი იცის

დავით ერაძე

ჩემპიონ „ვიტ ჯორჯიასა“ და „ლოკომოტივის“ დაპირისპირებამ ცარიელი ტრიბუნებით ჩაიარა. თამაში მძიმედ საცქერი ჯაჯგურით დაიწყო. ბურთიც მეტწილად მოედნის შუაში ტრიალებდა. ხშირი იყო ჯარიმებიც. 20 წუთი მომენტების გარეშე მიილია. გუნდებს მეკარეები უსაქმოდ ჰყავდათ. 30-ე წუთზე მიხეილ ბობოხიძემ გამოაფხიზლა მცირერიცხოვანი გულშემატკივარი. ფორვარდმა საჯარიმოში ორი ვეტერინარი გააცურა, ოღონდ კართან დარჩენილს დარტყმა არ გამოუვიდა.

38-ე წუთზე უკვე „ვიტ ჯორჯიამ“ გაითამაშა სახიფათო კომბინაცია. დილმელაშვილმა გველესიანი გაიყვანა დასარტყმელ პოზიციაზე, მაგრამ გვარამაძემ ბურთი კუთხურზე მოიგერია. ჩაწოდებულს იმედაშვილის თავური და ისევ კუთხური მოჰყვა. განმეორებით ჩაწოდებულსაც იმედაშვილმა შეაგება თავი, თუმცა ოდნავ არაზუსტად დაარტყა.

ტაიმის ღირსშესანიშნაობა კი ბობოხიძის მომენტი იყო. მან კენწვლით წაიღო ბურთი, მარცხენა ფლანგიდან საჯარიმოსკენ შეიწია და მიწაზე დაუშვებლად დაარტყა. ვეტერინარები ხარიხამ იხსნა. მეორე ტაიმში თამაში ადამიას სახიფათო ჩაწოდებამ გამოაცოცხლა. გველესიანამდე ბურთმა ვერ მიაღწია. „ლოკომოტივის“ პასუხიც სახიფათო გამოდგა. როინ ონიანის ჩაწოდებულს სანიკიძემ დაჰკრა მცირედ არაზუსტად თავი. მორიგ სახიფათო მომენტამდე 20-წუთიანი ლოდინი დაგვჭირდა. ადამია რკინიგზელების საჯარიმოში შევიდა, იქ ბაქრაძე და სანიკიძე ჩამოიტოვა, მაგრამ გვარამაძემ დაზღვევაზე კარგად ითამაშა და მომენტიც განიმუხტა. მარცვალაძის მოედანზე გამოსვლის შემდეგ კი „ვიტ ჯორჯიას“ ხალისი შეემატა და ვეტერინარებმა სისწრაფეს უმატეს.

მატჩის მიწურულს გუნდებმა სახიფათო მომენტები გაცვალეს. „ლოკომოტივის“ კუთხურისას ბურთს უმეთვალყურეოდ დატოვებულმა ბობოხიძემ შეაგება თავი, თუმც დარტყმა ოდნავ არაზუსტი გამოვიდა. 89-ე წუთზე კი ვეტერინარებმა ძალიან სწრაფი და ლამაზი კონტრშეტევა განახორციელეს. დილმელაშვილმა მარცვალაძეს გაუჭრა ბურთი, ოთარმა საჯარიმოში ადამია მონახა, რომელსაც მცველები გადაელობნენ და დარტყმა აღარ აცალეს.

ამ თამაშში კიდევ ერთი ამბავი იმსახურებდა ყურადღებას: „დინამოს“ გაყრილი და ტრავმისგან გაწამებული ალეკო გოგობერიშვილი ფეხბურთს დაუბრუნდა. მართალია, მას მხოლოდ 4 წუთი ერგო, მაგრამ იმედია, ეს მხოლოდ დასაწყისია.

# ზესტაფონში ხალხი და ნული შეიცვალა

გოჩა ჯანაშია ზესტაფონიდან

ზედიზედ მეორედ იყო, უქულო „ზესტაფონს“ ასევე უქულო გუნდი რომ ესტუმრა. იმერლებმა თუ „კოლხეთს“ ვერაფერი დააკლეს, შაბათს გორის „დილა“ დაიბრიყვეს და ნანატრი ქულებით გაიხარეს.

გვარიანი ცვლილებებით შეეგება „ზესტაფონი“ ამ მატჩს. გუნდიდან წასული ხუთი ფეხბურთელის სანაცვლოდ ვლადიმირ ზემლიანოის ამდენივე ახალი მობურთალი მიუვიდა. ზაზა ზირაქიშვილის, დავით ჯანაშიას, კახა სიდამონიძის, ლევან ბაჯელიძისა და კახა ბერელიძის მისვლამ საგრძნობლად გააძლიერა გუნდი და სწორედ მათმა გამოჩენამ ჩაუსახა გადარჩენის იმედი ზესტაფონელ ქომაგობას.

ახალთაგან ოთხმა შაბათს ძირითადში ითამაშა. თუმცა დავით ჯანაშიას მხოლოდ 15 წუთი მოუწია გარჯამ. სამაგიეროდ, სხვებმა მოგებაში თავისი წილი დაიდეს, ზირაქიშვილმა სულაც გოლით აღნიშნა დებიუტი. მართალია, უვარჯიშებელნი ოპტიმალური სათამაშო ფორმისგან ჯერ კიდევ შორს არიან, მაგრამ გამოცდილებით თავისი მაინც გააქვთ.

შეხვედრა ვერაფერიშვილი საცქერი გამოდგა. შესვენებამდე მთავარი მოქმედი პირი მსაჯი შალამბერიძე იყო, რომელმაც პირველ ტაიმში ხუთი ფეხბურთელი გააფრთხილა, მე-15 წუთზე კი „ზესტაფონი“ სულაც კაცნაკლული დატოვა. ეს მას შემდეგ, რაც ცინაძემ საჯარიმოს გარეთ ხელით შეაჩერა ბურთი და სულთანიშვილს გატანა ასე არ დაანება.

ამ ეპიზოდამდე გუნდებს თითო სახიფათო ეპიზოდი უკვე გაცვლილი ჰქონდათ. ჯერ ზირაქიშვილმა ვერ გამოიყენა ილურიძის უხეში შეცდომა და ახლოდან ბურთი ცარიელი კარის ხარიხას გადააცილა, ცინაძის გაძევებამდე ორიოდ წუთით ადრე კი სულთანიშვილის დიდებულად ჩახვეულ საჯარიმოს ხარიხა გადაელობა.

კაცნაკლულ მასპინძლებს, ცხადია, უნდა გასჭირვებოდათ, მაგრამ არაფერი მსგავსი — „დილა“ იმ დღეს გუნდის აჩრდილს ჰგავდა და ისე სუსტად გაისარჯა, პრესკონფერენციაზე ზურაბ ხორგუაშვილს ათქმევინა, ჩემი გუნდის თამაშზე კომენტარის გაკეთებაც კი არ მსურსო.

ზონინით მოთამაშე ფეხბურთელებს სამი-ოთხი გადაბმული გადაცემის გაკეთება არ შეეძლოთ და საჭგოლე მომენტების სიხშირეზე რა ლაპარაკია. შესვენების შემდეგ „დილამ“ თითქოს გაიბრძოლა, მაგრამ იმდენად უსუსურად, კაცნაკლულ მეტოქესაც კი არაფერი გასჭირვებია.

„ზესტაფონი“ დრო და დრო კონტრჩხვლეტებისთვის იცლიდა და ქუთათელაძეს ჯერ კიდევ მეორე ტაიმის დასაწყისშივე შეეძლო ინტრიგის მოშთობა, თუმცა ლადოს ხუთიოდ მეტრიდან დარტყმული გაუცუდდა.

ერთადერთხელ იყო, გორელებიც რომ იყვნენ გატანასთან ახლოს. შეცვლაზე შესულ გაბელაიას არ გაუმართლა, მისი თავური ხარიხამ აისხლიტა.

85-ე წუთზე გორელთა წვალებას წერტილი ჯაფარიძემ დაუსვა, რომელმაც საჯარიმოს წინა ხაზთან მოიგდო ბურთი და ილურიძეს ახლო კუთხეში აუღებელი დაურტყა.

ნამატჩევს ზემლიანოი შედეგით, რაღა თქმა უნდა, კმაყოფილი ჩანდა. თუმცა მას ჯერ კიდევ ბევრი თავსატეხი აქვს. მწვრთნელმა ისიც თქვა, როცა კაცნაკლული ხარ, უპირველესად შედეგზე უნდა ითამაშო და თამაშის ხარისხი აქ მეორეხარისხოვანიაო. ვერც გაამტყუნებ. დღესდღეობით „ზესტაფონისთვის“ ისიც საქმეა, პირველი მოგება და სამი ქულა რომ ირგუნა.

ზესტაფონი. 11 სექტემბერი. 16 საათი. ცენტრალური. 2 000 (ტევადობა 8 000)

## ზესტაფონი 2:0 დილა

1:0 ზირაქიშვილი (18), 2:0 ჯაფარიძე (85)

| | |
|---|---|
| ზესტაფონი: ცინაძე, ძამსაშვილი, ვ. ქუთათელაძე, სიდამონიძე, რაქვიაშვილი, სულაკაძე (თ. ჯაფარიძე 46), ბაჯელიძე, გ. თურმანიძე, შავგულიძე, ზირაქიშვილი (მელიქია 60), დ. ჯანაშია (თ. ოდიკაძე 15). სათადარიგონი: ჩილვინაძე, ბ. ნოზაძე, კახნიაშვილი, ძაგნიძე. მწვრთნელი: ვლადიმირ ზემლიანოი | დილა: თ. ილურიძე, მგელაძე, ჩაჩუა, ბალაშვილი, ჯობაძე, რაზმაძე, დ. ხანიშვილი (სამადაშვილი 36), კ. ხანიშვილი, სულთანიშვილი, შატაკიშვილი (გაბელაია 62), წუწუნავა. სათადარიგონი: გ. სომხიშვილი; ქარქუზაშვილი, შუბითიძე, მასურაშვილი, ხატიაშვილი. მწვრთნელი: ზურაბ ხორგუაშვილი |

გაფრთხილება: სიდამონიძე (11), ჯობაძე (17), ბაჯელიძე (23), ზირაქიშვილი (30), სულთანიშვილი (33)

გაძევება: ცინაძე (19)

მსაჯები: ა. შალამბერიძე (ქუთაისი); ზ. მენთეშაშვილი, მ. ურუშაძე (ორივე თბილისი); დ. სანაია (სოხუმი)

სფფ-ის ინსპექტორი: გ. სორდია; დირექტორი: ა. მილჩენკო



ბადრი კეთილაძის ფოტო

ზაზა ზირაქიშვილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 6 | 5 | 1 | 0 | 20:4 | 16 |
| ტორპედო | 6 | 5 | 1 | 0 | 11:1 | 16 |
| თბილისი | 6 | 4 | 1 | 1 | 15:8 | 13 |
| ლოკომოტივი | 6 | 3 | 2 | 1 | 11:3 | 11 |
| ვიტ ჯორჯია | 6 | 3 | 1 | 2 | 12:10 | 10 |
| ბათუმი | 6 | 2 | 2 | 2 | 6:6 | 8 |
| სიონი | 6 | 2 | 0 | 4 | 7:20 | 6 |
| ზესტაფონი | 6 | 1 | 0 | 5 | 5:15 | 3 |
| კოლხეთი | 6 | 1 | 0 | 5 | 3:13 | 3 |
| დილა | 6 | 0 | 0 | 6 | 4:14 | 0 |



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

# ხორგუაშვილმა, წავედიო

ექვსი თამაში და ექვსივე წაგება, ოთხი გატანილი ბურთი და თოთხმეტი გაშვებული — ასეთია გორის „დილას“ მონაგარი მიმდინარე ჩემპიონატში და გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ზვიად ხორგუაშვილმა „ზესტაფონთან“ მარცხის შემდეგ თქვა, წავედიო.

მოკლედ, „დილა“ ახლა უმთავარმწვრთნელოდაა, მაგრამ ხორგუაშვილის საკითხი ბოლომდე გადაწყვეტილი მაინც არაა. კლუბის ხელმძღვანელობა დღეს ერთხელაც შეხვდება ხორგუაშვილს და წერტილიც ყველაფერს ამის მერე დაესმება.



გიორგი იმედაძე

# ქართველები ტავრიას ტოვებენ

სიმფეროპოლის „ტავრია“ ორმა ქართველმა ფეხბურთელმა დატოვა — ზვიად ჩხეტიანმა და გიორგი იმედაძემ. როგორც შევიტყვეთ, ჩხეტიანი უკრაინისავე პირველი ლიგის „ჟიტომირში“ განათხოვრეს, იმედაძის საკითხი კი ჯერაც გაურკვეველია. ტრანსფერზე დაყენებული თავდამსხმელის ბედი უახლოეს ორ კვირაში უნდა გაირკვეს — მისით რამდენიმე უკრაინული კლუბია დაინტერესებული.

## ინგლისი

**პრემიერლიგა. V ტური**

**ასტონ ვილა 0:0 ჩელსი**
ასტონ ვილა: სორენსენი, ბარი, დელანი, მელბერგი, სამუელი, დე ლა კრუზი, ჰიცლშპერგერი, მაკკანი, სოლანო (ჰენდრი 57), ანხელი (მური 67), ვასელი (ვიტინგენი 90)
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
ჩელსი: ჩეხი, ბაბაიარო, ფერეირა, კარვალიუ, ტერი, ჯ. კოული (მუტუ 61), ლამპარდი, მაკელელე, ტიაგო (სმერტინი 66), დროგბა, კეჟმანი (გუდიონსენი 61)
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
გაფრთხილება: დროგბა
მსაჯი: სტაილესი
36 691 მაყურებელი

**ბოლტონი 2:2 მანჩესტერ იუნ.**
0:1 ჰეინცე (44), 1:1 ნოლანი (52), 2:1 ფერდინანდი (90), 2:2 ბელიონი (90)
ბოლტონი: იასკელაინენი, ბარნესი, კამპო, ჰანტი, ჟაიდი, ნგოტი, ნოლანი, ოკოჩა, სპიდი (იერო 87), დევისი (ფერდინანდი 75), პედერსენი (დიუფი 45)
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
მანჩესტერ იუნ: ჰოვარდი, ბრაუნი, ჰეინცე, ფ. ნევილი, სილვესტრი, გიგზი, კინი, კლებერსონი (რონალდო 64), სქოულზი, სმიტი, ვან ნისტელროი (ბელიონი 74)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: ოკოჩა, ჰანტი, გიგზი
მსაჯი: მესიასი
27 766 მაყურებელი

**ფულემი 0:3 არსენალი**
0:1 ლიუნგბერგი (62), 0:2 ნაითი (65ს.კ.), 0:3 რეიესი (71)
ფულემი: ვან დერ საარი, ბოკანეგრა, ნაითი, პირსი, ვოლცი, ჰ. ბ. დიოპი, ლეგვინსკი (რაძინსკი 76), პემბრიჯი, ბოა მორტე (მაკბრაიდი 83), ენდი კოული, ჯონი
მწვრთნელი:
არსენალი: ლემანი, ეშლი კოული, სიგანი, ლორენი, ტურე, ლიუნგბერგი (პენანტი 73), პირესი (რეიესი 61), ჟილბერტო, ვიეირა (ფაბრეგასი 75), ბერხკამპი, ანრი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: ვიეირა, ვან დერ საარი, ლეგვინსკი, ფაბრეგასი
მსაჯი: ჰალსეი
21 681 მაყურებელი

**ლივერპული 3:0 ვესტ ბრომვიჩი**
1:0 ჯერარდი (16), 2:0 ფინანი (42), 3:0 ლუის გარსია (60)
ლივერპული: დუდეკი, კარაგერი, ფინანი, ჰიიპია, ხოსენი, ჯერარდი (ხაბი ალონსო 65), ჰამანი, კიუელი (ბაროში 68), ლუის გარსია (ტრაორე 74)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
ვესტ ბრომვიჩი: ჰოულტი, ალბრეხტენი, კლემენტი, ჰაასი (გერა 66), პარსი, რობინსონი, შიმეკა, გრინინგი, კუმასი, ჰორსფილდი (ერნშოუ 53), კანუ
მწვრთნელი: გარი მეგსონი
მსაჯი: დანი
42 947 მაყურებელი

**მანჩესტერ სიტი 0:1 ევერტონი**
0:1 ჩეჰილი (60)
მანჩესტერ სიტი: ჯეიმსი, დისტინი, დანი, მილსი, ტეტჩერი (სუნ ჟიხაი 73), ბარტონი, რეინა, სინკლერი (სიბიერსკი 73), რაიტ-ფილიპსი, ანელკა, ფაულერი (მაკკენი 63)
მწვრთნელი: კევინ კიგანი
ევერტონი: მარტინი, ჰიბერტი, პისტონე, სტაბსი, უოტსონი, ვეირი, ჩეჰილი, კარსლი, კილბეინი (ნეისმიტი 73), ოსმანი (გრავესენი 58), ბენტი (დ. ფერგიუსონი 73)
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
გაფრთხილება: ბარტონი, კარსლი, ჩეჰილი, პისტონე
გაძევება: ჩეჰილი (61)
მსაჯი: ბენეტი
47 006 მაყურებელი

# მაშ, პენალტები არ იყო? არსენალი მაინც მოიგებს


ბოლტონი — მანჩესტერ იუნაიტედი.
ბრაზილიელი ინგლისშიც კი ბრაზილიელია — ჯოვანი კლებერსონი

**მიდლსბრო 2:1 ბირმინგემი**
1:0 ვიდუკა (27), 1:1 ჰესკი (42), 2:1 ვიდუკა (48)
მიდლსბრო: შვარცერი, ეჰიოგუ (რიგოტი 60), პარნაბი, კედრიუ, საუთგეიტი, ბოატენგი, პარლოუ, ზენდენი, ჰასელბაინკი, ნემეტი (ჯობი 81), ვიდუკა (დორივა 72)
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
ბირმინგემი: ტეილორი, კანინგემი, მელხიოტი, აპსონი, გრეი, გრონკიაერი, იზეტი, ჯონსონი (მორისონი 75), ფორსელი, იორკი
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
გაფრთხილება: საუთგეიტი, კედრიუ, იზეტი, იორკი, ჰესკი
მსაჯი: პოლი
30 252 მაყურებელი

**ნიუკასლი 3:0 ბლექბერნი**
1:0 ფლიტკროფტი (9ს.კ.), 2:0 შირერი (16), 3:0 ობრაიენი (83)
ნიუკასლი: გივენი, კარი, ელიოტი, ჰიუზი, ობრაიენი, ბოიერი, დაიერი (მილნერი 88), ჯენასი, რობერი (ნზოგბია 90), ბელამი (ამეობი 77), შირერი
მწვრთნელი: გრემ სუნესი
ბლექბერნი: ფრიდელი, გრეი, მატეო, ნეილი, შორტი, ემერტონი (ბოტროიდი 78), ბ. ფერგიუსონი, ფლიტკროფტი, დიკოვი, პედერსენი (დუგლასი 45), სტიდი
მწვრთნელი: ?
გაფრთხილება: ნეილი, ბელამი, ამეობი
მსაჯი: გალაჰერი
52 015 მაყურებელი

**პორტსმუთი 3:1 კრ. პალასი**
1:0 ფულერი (3), 1:1 გრანვილი (43), 2:1 ბერგერი (47), 3:1 პოპოვიჩი (85ს.კ.)
პორტსმუთი: ჰისლოპი, დე ზეევი (ტეილორი 12), პრიმუსი, სტეფანოვიჩი, ანსუორთი, ბერგერი, ბერკოვიჩი (ჰაიე 62), ქვოში, სტოუნი, ფულერი (კამარა 54), იაკუბუ
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
კრ. პალასი: სპერონი, ბოისი, გრანვილი, ჰალი, ჰადსონი, პოპოვიჩი, რიიჰილაჰტი (ჰიუზი 86), ჯონსონი, კოლკა (ვენტოლა 70), რუტლეჯი (დერი 86), ტორგელე
მწვრთნელი: იან დოუვი
გაფრთხილება: ჰალი, დერი
მსაჯი: დოუდი
20 019 მაყურებელი

**ტოტენჰემი 0:0 ნორვიჩი**
ტოტენჰემი: რობინსონი, ედმანი, კინგი, ნაიბეტი, პამაროტი, ატუბა (ჯეკსონი 83), ბრაუნი (დევისი 65), მენდესი, რედნაპი, დეფო, კანუტი (რობი კინი 72)
მწვრთნელი: ჟაკ სანტინი
ნორვიჩი: გრინი, ჩარლტონი, დოჰერტი (მაკკენზი 83), დრური, ედუორთი, ფლემინგი, ფრანსისი, ჰოლტი, საფრი (მაკვეიგი 75), ბენტლი (შელვეგი 90), ჰაკერბი
მწვრთნელი: ნაიჯელ უორზინგტონი
გაფრთხილება: ჩარლტონი, საფრი, მენდესი, რედნაპი
მსაჯი: უები
36 095 მაყურებელი

**ჩარლტონი — საუთჰემპტონი**
*დღეს გაიმართება*

„არსენალმა" მიჯრით მეხუთე შეხვედრა მოიგო და „ჩელსის" ორი ქულით დაუსხლტა. „მეთოფეები" თანაქალაქელ „ფულემს" ესტუმრნენ. პირველ ტაიმში ენდი კოულის წაქცევისთვის არბიტრმა პენალტი დანიშნა, მაგრამ გვერდითმა მსაჯმა გააუქმებინა, მე უკეთ დავინახე, წესის დარღვევა არ ყოფილაო. ამ მომენტიდან რამდენიმე წუთში ანრი წააქციეს და მსაჯმა აქაც უარი თქვა პენალტზე. მარკ ჰალსეიმ შესვენებამდე მასპინძელთა ერთი გოლიც არ ჩათვალა.

თამაში მეორე ტაიმში პირესის ნაცვლად შესულმა რეიესმა გაახალისა. მისი წამოწყებული კომბინაცია ლიუნგბერგმა გოლით დაასრულა, შემდეგ ნაითმა ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა, ხოლო რეიესმა ბერხკამპისეული პასით იხეირა. „არსენალმა" წაუგებელ მატჩთა სერია 45-მდე გაზარდა.

„ჩელსი" ბირმინგემში „ასტონ ვილას" ეწვია. ორივე გუნდს მწირი მომენტები ჰქონდა. ჟოზე მაურინიუმ თავისებური ფრთხილი თამაშით ბირმინგემიდან მხოლოდ ქულა წაიღო.

სტივ მაკლარენის „მიდლსბრომ" ზედიზედ მესამე მატჩში იმარჯვა და ხუთეულში გაერია. ავსტრალიელი მარკ ვიდუკა მოვალეობას კარგად ასრულებს და „ბორომ" მისი დუბლის წყალობით იძალა „ბირმინგემზე" ვიდუკამ ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკის პასით გახსნა ანგარიში, მაგრამ ტაიმის მიწურულს ემილ ჰესკიმ გაათანაბრა. მეორე ნახევრის დასაწყისში ავსტრალიელმა ფორვარდმა თავური დარტყმით „მიდლსბრო" კვლავ დააწინაურა.

„ლივერპული" „ვესტ ბრომვიჩს" იოლად გაუსწორდა და რაფაელ ბენიტესსაც ხასიათი გამოუკეთდა. ჯერარდმა და სტივ ფინანმა პირველ ტაიმში თითო გაუტანეს სტუმრებს, ხოლო შესვენების შემდეგ ლუის გარსიამაც იხეირა.

დრამატული გამოდგა მატჩი ბოლტონში „რიბოკის" სტადიონზე, სადაც ფერდინანდმა და ბელიონმა ბოლო წუთზე გოლები გაცვალეს. „მანჩესტერ იუნაიტედის" შემადგენლობაში ტრავმამოშუშებულმა რუუდ ვან ნისტელროიმ ითამაშა. ანგარიში კი ოლიმპიურმა ჩემპიონმა, არგენტინელმა გაბრიელ ჰეინცემ ტაიმის მიწურულს გახსნა. ეს მისი პირველი მანჩესტერული გოლია. ნოლანმა შესვენების შემდეგ გაათანაბრა. ჰოვარდმა მისი დარტყმული მოიგერია, მაგრამ ნოლანმა მიუსწრო და გაიტანა. 90-ე წუთზე ჰოვარდისა და სილვესტრის შეუთანხმებლობით ფერდინანდმა ისარგებლა და მასპინძლები დააწინაურა, მაგრამ ცენტრიდან დაწყებული სტუმრების პირველივე შეტევისას დავიდ ბელიონმა ბურთი მოიხელთა და იასკელაინენი უშანსოდ დატოვა.

გრემ სუნესის დებიუტი „ნიუკასლში" წარმატებული გამოდგა. სუნესმა თავისი ყოფილი გუნდი „ბლექბერნი" დაამარცხა, უიღბლო ფლიკტროფტმა ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა, რასაც მალე ალან შირერმა მეორე გოლი მიაყოლა. შეხვედრის მიწურულს კი ლი ბოიერის პასი ობრაინმა მესამე გოლად აქცია.

„ევერტონის" ავსტრალიელმა ლეგიონერმა ტიმ კაჰილმა „მანჩესტერ სიტის" გაუტანა, მაგრამ მისი ზღვარგადასული სიხარული მსაჯმა წითელ ბარათად შეაფასა, მანამდე კაჰილს ერთი გაფრთხილება უკვე მიეღო. მატჩის პირველ ტაიმში გამორჩეული მასპინძელთა მეკარე ჯეიმსი იყო, რომელმაც არაერთი ბურთი გამოაძრო.

პორტსმუთელმა შაკა ჰისლოპმა ენდი ჯონსონს პენალტი არ გაუტანინა, მანამდე კი მასპინძლები მესამე წუთზე ფულერის გოლით დაწინაურდნენ. გრანვილმა შესვენებამდე გაათანაბრა, ხოლო ბერგერმა ხუთი წუთით ადრე „კრისტალ პალასის" მცველმა პოპოვიჩმა ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა.

**მაჟა ხუციშვილი**

**ჩემპიონატი. VII ტური**

**ბარნსლი 3:0 ძრიუ**
1:0 მაკგრილი (12), 2:0 ბლეიქი (42), 3:0 ჩეპლოუ (49)

**დერბი ძაუნთი 2:1 რედინგი**
1:0 სმიტი (70), 2:0 ტუდგეი (83), 2:1 შორი (88)

**ჯილინგემი 0:4 სანდერლენდი**
0:1 სტიუარტი (4), 0:2 ელიოტი (17), 0:3, 0:4 სტიუარტი (20, 68)

**ლიდსი 3:0 ძოვენთრი**
1:0 კარლაილი (40), 2:0 ჯოუჩიმი (71), 3:0 პაფი (90)

**ნოტინგემი 0:0 კარდიფი**

**პრესტონი 3:0 სტოკი**
1:0, 2:0 კროსველი (27, 79), 3:0 პილი (80)

**ძუინზ პარკი 3:2 პლიმუთი**
0:1 ფრიო (7), 1:1, 2:1 ფურლონგი (29, 72), 3:1 გალენი (89), 3:2 კეიტი (90)

**როტერჰემი 0:2 ლესტერი**
0:1 ნალისი (44), 0:2 დაბლინი (59)

**შეფილდ იუნ. 1:2 ვესტ ჰემი**
0:1 შერვუდი (9), 1:1 ქუინი (65), 1:2 შერინგემი (85)

**უოტფორდი 1:1 ბრაიტონი**
1:0 ვებერი (53), 1:1 ვირგო (85)

**ვულვერჰემპტონი 3:3 უიგანი**
1:0 მილერი (15), 1:1 ჯეკსონი (23), 1:2 ელინგტონი (28), 2:2 მილერი (65), 2:3 რობერტსი (753), 3:3 კამერონი (90)

**იფსვიჩი 2:0 მილუოლი**
1:0 დ. ბენტი (83), 2:0 კუნაგო (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იფსვიჩი | 7 | 5 | 1 | 1 | 14:7 | 16 |
| უიგანი | 7 | 4 | 3 | 0 | 15:7 | 15 |
| სტოკი | 7 | 4 | 2 | 1 | 7:5 | 14 |
| პლიმუთი | 7 | 4 | 1 | 2 | 11:9 | 13 |
| ვესტ ჰემი | 7 | 4 | 1 | 2 | 9:8 | 13 |
| რედინგი | 7 | 4 | 0 | 3 | 7:6 | 12 |
| შეფილდი | 7 | 3 | 2 | 2 | 6:4 | 11 |
| უოტფორდი | 6 | 3 | 1 | 2 | 9:5 | 10 |
| პრესტონი | 7 | 3 | 1 | 3 | 10:7 | 10 |
| ქოვენთრი | 7 | 3 | 1 | 3 | 10:9 | 10 |
| მილუოლი | 6 | 3 | 1 | 2 | 4:4 | 10 |
| ბარნსლი | 7 | 2 | 3 | 2 | 7:5 | 9 |
| დერბი | 7 | 3 | 0 | 4 | 10:11 | 9 |
| ჯილინგემი | 7 | 3 | 0 | 4 | 7:12 | 9 |
| სანდერლენდი | 7 | 2 | 2 | 3 | 11:9 | 8 |
| ლიდსი | 6 | 2 | 2 | 2 | 6:5 | 8 |
| ლესტერი | 7 | 2 | 2 | 3 | 5:6 | 8 |
| ქუინზ პარკი | 7 | 2 | 2 | 3 | 7:11 | 8 |
| ბრაიტონი | 7 | 2 | 2 | 3 | 6:10 | 8 |
| ვულვზი | 7 | 0 | 5 | 2 | 9:11 | 5 |
| ქრიუ | 6 | 1 | 2 | 3 | 11:15 | 5 |
| ნოტინგემი | 7 | 0 | 5 | 2 | 8:12 | 5 |
| კარდიფი | 7 | 1 | 2 | 4 | 6:10 | 5 |
| როტერჰემი | 7 | 0 | 3 | 4 | 2:9 | 3 |

**პირველი ლიგა. VIII ტური**
ბარნსლი — ტრანმერი 0:0; ბორნმუთი — კოლჩესტერი 1:3; ბრისტოლი — სტოკპორტი 5:0; ჰალი — ბლეკპული 2:1; ლუთონი — ჩესტერფილდი 1:0; დონსი — დონკასტერი 0:1; ოლდემი — ჰარტლპული 3:2; პორტ ვეილი — ჰადერსფილდი 0:3; სუინდონი — პიტერბრო 0:1; ტორკი — ბრენტფორდი 2:2; უოლსოლი — უენსდი 1:1; რექსემი — ბრედფორდი 1:0

**მეორე ლიგა. VIII ტური**
კემბრიჯი — მენსფილდი 2:2; ჩელტენემი — იოვილი 1:1; ლეიტონი — როვერსი 4:2; ლინკოლნი — ბოსტონი 2:2; მაკლსფილდი — გრიმსბი 3:1; ნორთჰემპტონი — ნოტსი 0:0; ოქსფორდი — რაშდენი 0:0; როჩდეილი — დარლინგტონი 1:1; სკანთორპი — ჩესტერი 1:2; შრიუსბერი — ბერი 2:2; საუთენდი — უიკომბი 1:2; სუონსი — კიდერმინსტერი 3:0

**კონფერენსლიგა. VII ტური**
ქროული — იორკი 1:0; დაგენემი — აკრინგტონი 0:5; ფარნბორო — კონვეი 1:3; გრეივსენდი — ჰერეფორდი 1:2; ჰალიფაქსი — ფორესტ გრინი 4:0; ლეი — ალდერშოტი 3:3; ნორსვიჩი — მორეკემბი 2:2; სკარბორო — ექსეტერი 1:1; სტივენეიჯი — ბარტონი 0:1; ტემუორთი — ბარნეტი 0:2; უოქინგი — კარლაილი 1:1

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 არსენალი | 5 | 5 | 0 | 0 | 19:5 | 14 | 15 | 2 | 2 | 0 | 0 | 8:3 | 5 | 6 | 3 | 3 | 0 | 0 | 11:2 | 9 | 9 |
| 2 ჩელსი | 5 | 4 | 1 | 0 | 6:1 | 5 | 13 | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 6 | 3 | 2 | 1 | 0 | 3:0 | 3 | 7 |
| 3 ბოლტონი | 5 | 3 | 1 | 1 | 9:6 | 3 | 10 | 3 | 2 | 1 | 0 | 7:3 | 4 | 7 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 3 |
| 4 მიდლსბრო | 5 | 3 | 1 | 1 | 11:9 | 2 | 10 | 3 | 2 | 1 | 0 | 6:4 | 2 | 7 | 2 | 1 | 0 | 1 | 5:5 | 0 | 3 |
| 5 ევერტონი | 5 | 3 | 1 | 1 | 7:6 | 1 | 10 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:5 | -2 | 3 | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 3 | 7 |
| 6 ტოტენჰემი | 5 | 2 | 3 | 0 | 4:2 | 2 | 9 | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 1 | 5 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 1 | 4 |
| 7 ასტონ ვილა | 5 | 2 | 2 | 1 | 7:6 | 1 | 8 | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 4 | 7 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | -3 | 1 |
| 8 ლივერპული | 4 | 2 | 1 | 1 | 6:3 | 3 | 7 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 4 | 6 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 1 |
| 9 პორტსმუთი | 4 | 2 | 1 | 1 | 9:7 | 2 | 7 | 3 | 2 | 1 | 0 | 8:5 | 3 | 7 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 10 მანჩესტერი | 5 | 1 | 3 | 1 | 5:5 | 0 | 6 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 1 | 4 | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | -1 | 2 |
| 11 ჩარლტონი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:9 | -3 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 4 | 6 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:8 | -7 | 0 |
| 12 ნიუკასლი | 5 | 1 | 2 | 2 | 9:9 | 0 | 5 | 3 | 1 | 1 | 1 | 5:3 | 2 | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 4:6 | -2 | 1 |
| 13 სიტი | 5 | 1 | 1 | 3 | 6:5 | 1 | 4 | 3 | 1 | 1 | 1 | 5:2 | 3 | 4 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | -2 | 0 |
| 14 ბირმინგემი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:5 | -2 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 0 | 3 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | -2 | 1 |
| 15 ფულემი | 5 | 1 | 1 | 3 | 6:10 | -4 | 4 | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | -3 | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 4:5 | -1 | 1 |
| 16 საუთჰემპტონი | 4 | 1 | 0 | 3 | 5:8 | -3 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 0 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | -3 | 0 |
| 17 ნორვიჩი | 5 | 0 | 3 | 2 | 5:9 | -4 | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:5 | -3 | 1 | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | -1 | 2 |
| 18 ვესტ ბრომვიჩი | 5 | 0 | 3 | 2 | 4:8 | -4 | 3 | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:6 | -4 | 1 |
| 19 ბლექბერნი | 5 | 0 | 2 | 3 | 4:11 | -7 | 2 | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 | 3 | 0 | 0 | 3 | 2:9 | -7 | 0 |
| 20 კრისტალ პალასი | 5 | 0 | 1 | 4 | 4:11 | -7 | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | -4 | 0 | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | -3 | 1 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| რეიესი (არსენალი) | 5 |
| ანრი (არსენალი) | 4 |

**VI ტური**
18-19-20 სექტემბერი

| | | |
|---|---|---|
| არსენალი | : | ბოლტონი |
| ვესტ ბრომვიჩი | : | ფულემი |
| ბირმინგემი | : | ჩარლტონი |
| ბლექბერნი | : | პორტსმუთი |
| კრ. პალასი | : | სიტი |
| ევერტონი | : | მიდლსბრო |
| ნორვიჩი | : | ასტონ ვილა |
| საუთჰემპტონი | : | ნიუკასლი |
| ჩარლტონი | : | ტოტენჰემი |
| მანჩესტერი | : | ლივერპული |

# იტალია

## სერია A. I ტური

### მილანი 2:2 ლივორნო

1:0 ზეედორფი (3), 1:1 ქ. ლუკარელი (93), 2:1 ზეედორფი (47), 2:2 ქ. ლუკარელი (67)
მილანი: დიდა, კაფუ, სტამი, მალდინი, პანკარო (სერჟინიო 71), ამბროზინი, რუი კოშტა (გატუზო 71), ზეედორფი, კაკა, შევჩენკო, ტომასონი (აბიატი 8)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
ლივორნო: ამელია, გრანდონი, ვარგასი, ა. ლუკარელი, ჯალლომბარდო (ბალერი 75), პფერცელი, ვიდიგალი, პასონი, ვიჯანი (რუოტოლო 85), ქ. ლუკარელი, პროტი (კოლომბო 90)
მწვრთნელი: ფრანკო კოლომბა
გაფრთხილება: ჯალლომბარდო, ბალერი, ა. ლუკარელი, ამელია, ბალერი
გაძევება: დიდა (7), ბალერი (90)
მსაჯი: პიერი
69 500 მაყურებელი

### ბრეშა 0:3 იუვენტუსი

0:1 ნედვედი (35), 0:2 ტრეზეგე (38), 0:3 იბრაჰიმოვიჩი (69)
ბრეშა: კასტელაცი, ადანი, დი ბიაჯო, მარეკო (მანინი 63), ჟ. მარტინესი, ალმეიდა, მილანეტო (გუანა 70), დომიცი, სკული, ბაკინი, კარაჩოლო (დელ ნერო 24)
მწვრთნელი: ჯოვანი დე ბიაზი
იუვენტუსი: ბუფონი, ძებინა, ტურამი, ფ. კანავარო, ძამბროტა, კამორანეზი, ბლაზი, ემერსონი (ტაკონარდი 69), ნედვედი, დელ პიერო (ოლივერა 65), ტრეზეგე (იბრაჰიმოვიჩი 46)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: სკული, მარეკო, კამორანეზი, დელ ნერო
მსაჯი: ტრეფოლონი
20 000 მაყურებელი

### კიევო 2:2 ინტერი

0:1 სტანკოვიჩი (15), 1:1 სემიოლი (28), 2:1 პელისიერი (37), 2:2 ადრიანო (48)
კიევო: მარკეჯანი, სეზარი, მანდელი, დანა, ლანა, სემიოლი, ბრიგი, ბარონიო (ალეგრეტი 77), დ. ფრანჩესკინი, კოსატო (ტირიბოკი 72), პელისიერი (ამაური 58)
მწვრთნელი: მარიო ბერეტა
ინტერი: ტოლდო, ხ. ძანეტი, მატერაცი, მიხაილოვიჩი, ფავალი, ზე მარია (რეკობა 81), ხ. ვერონი, დავიდსი (კამბიასო 83), დ. სტანკოვიჩი, ვიერი, ადრიანო
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
გაფრთხილება: ფავალი, მიხაილოვიჩი, ვერონი, მარკეჯანი
მსაჯი: პაპარესტა
25 000 მაყურებელი

### რომა 1:0 ფიორენტინა

1:0 მონტელა (53)
რომა: პელიცოლი, პანუჩი, მექსეში, კუფრე, კანდელა (მონტელა 46), დე როსი (აკილანი 71), დაკური, პეროტა, მანსინი, ტოტი (დელვეკიო 80), კასანო
მწვრთნელი: რუდი ფიოლერი
ფიორენტინა: ლუპატელი, უიფალუში, ვიალი, დაინელი, კიელინი, ობოდო, მარესკა (მ. ფონტანა 60), იორგენსენი (პორტილიო 46), არიატი, მიკოლი, რიგანო (პიანჯერელი 24)
მწვრთნელი: ემილიანო მონდონიკო
გაფრთხილება: კანდელა, დე როსი, ტოტი, ობოდო
გაძევება: ვიალი (15), კასანო (45)
მსაჯი: დონდარინი
60 000 მაყურებელი

### პარმა 0:0 მესინა

პარმა: ფრეი, ბონერა, ბოვო, პ. კანავარო, პოტენცა, ბოლანო, გრელა, მარკიონი, ბრეშიანო, როზინა (მაკარონე 57), ჯილარდინო
მწვრთნელი: სილვიო ბალდინი
მესინა: სტორარი, ზორო, ფუსკო, რეზაეი, პარიზი, ჯამპა, კოპოლა, დონატი, სულო (რაფაელი 86), ნ. ამორუზო, ილიევი
მწვრთნელი: ბორტოლო მუტი
გაფრთხილება: მარკიონი, კოპოლა
მსაჯი: რიცოლი
12 000 მაყურებელი

### რეჯინა 0:0 უდინეზე

რეჯინა: პავარინი, კანარსა, დე როზა, ი. ფრანჩესკინი, მესტო, ტედესკო, მოცარტი, ჯ. კოლუჩი (განჩი 74. ძამბონი 85), ბალესტრი, ნაკამურა, ბონაცოლი (დიონიჯი 78)
მწვრთნელი: კლაუდიო მაცარი
უდინეზე: დე სანქტისი, ბერტოტო, კრიბარი, კროლდრუპი, ალბერტო (დი ნატალე 46), პინცი, დ. პიზარო, მუნტარი (პაზიენცა 66), პიერი (მაური 87), იაკინტა, დი მიკელე
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
გაფრთხილება: ბერტოტო, ალბერტო, მოცარტი
გაძევება: ფრანჩესკინი (83)
მსაჯი: ტომბოლინი
15 000 მაყურებელი

### კალიარი 1:0 ბოლონია

1:0 ესპოზიტო (18)
*ჯუნტიმ ვერ გაიტანა პენალტი (84, მეკარე)*
კალიარი: კატერიანაკისი, დ. ლოპესი, მალტალიატი, ბეგა, აგოსტინი, აბეიხონი, ბრამბილა, გობი (დელნევო 80), ესპოზიტო, ბიანკი (სუაცო 59), ძოლა (ლანგელა 67)
მწვრთნელი: ლუიჯი არიგონი
ბოლონია: პალიუკა, დაინო, პეტრუცი, ტორიზი (გამბერინი 57), სუსი (მეგნი 68), ნერვო, ჯუნტი, ზაგორაკისი, ბელუჩი, ლოკატელი (ჩიპრიანი 68), ტარე
მწვრთნელი: კარლო მაცონე
გაფრთხილება: სუსი, ჯუნტი, ტორიზი, ზაგორაკისი, ბეგა
მსაჯი: კოლინა
15 000 მაყურებელი

### ატალანტა 2:2 ლეჩე

1:0 პაცინი (2), 1:1 ჯაკომაცი (9), 2:1 ალბერტინი (57), 2:2 ბოჟინოვი (76)
ატალანტა: ტაიბი, რივალტა, გონელა, ნატალი, ბელინი, დ. ძენონი, ალბერტინი (ბერნარდინი 82), მარკოლინი, მონტოლივო (საუდატი 82), ინაჩიო პია (გაუტიერი 70), პაცინი
მწვრთნელი: ჯუზეპე მანდორლინი
ლეჩე: სიჩინიანო (ანანია 61), კასეტი, დიავუტენე, სტოვინი, რულო, ჯაკომაცი, ლედესმა, დალა ბონა (ერიომენკო 80), ონანი (ბოჟინოვი 63), ბიელანოვიჩი, პინარდი
მწვრთნელი: ზდენეკ ზემანი
გაფრთხილება: ალბერტინი, დიამუტენე, ბიელანოვიჩი, ანანია
მსაჯი: როდომონტი
13 000 მაყურებელი

### პალერმო 1:0 სიენა

1:0 ტონი (21)
პალერმო: გუარდალბენი, ძაკარდო, ბიალა, ბარძალი, გროსო, ბარონე, კორინი, სანტანა (მუტარელი 89), ძაული, გასბარონი (რაიმონდი 68), ტონი (ფარიასი 83)
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
სიენა: ფორტინი, ჩირილო, მინანი, პორტანოვა, ნიკოლა, დი დონატო, ვერგასოლა (სერაფინი 64), კამორანი (კიუმიენტო 64), პეკია, კარპარელი, ფლო (ფალზინი 75)
მწვრთნელი: ლუიჯი სიმონი
გაფრთხილება: ვერგასოლა, ჩირილო, ბიალა, გასბარონი
გაძევება: ჩირილო (72)
მსაჯი: საკანი
32 435 მაყურებელი

### სამპდორია 0:1 ლაციო

0:1 დი კანიო (283)
სამპდორია: ანტონიოლი, საკეტი (კუტუზოვი 65), მ. კასტელინი, ფალკონე, პიზანო (ტურჩი 27), დიანა (დონადელი 46), ვოლპი, პალომბო, ტონეტო, ბაცანი, ფლაკი
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
ლაციო: პერუცი, ოდო, სივილია, ფ. კოუტუ, ძაური, ა. ფილიპინი, ჯანიკედა, ლივერანი (სერიჩი 67), სეზარი (ე. ფილიპინი 58), დი კანიო (მუცი 51), ს. ინძაგი
მწვრთნელი: დომენიკო კაზო
გაფრთხილება: ოდო, ინძაგი
გაძევება: ანტონიოლი (27)
მსაჯი: როზეტი
25 000 მაყურებელი

# მრავალი დებიუტის ტური





რუდი ფიოლერის „რომამ“ ვინჩენცო მონტელას გოლით მოიგო

**იტალიის** ჩემპიონატს მილანური დებიუტი გამოადგა — ქალაქის ერთმა გუნდმა სტუმრად ითამაშა, მეორემ შინ და ორივეს ერთი შედეგი ჰქონდა, 2:2.

განახლებულ „ინტერს“ ძველი პრობლემები ეტყობოდა. ვერონაში, „კიევოსთან“ შეხვედრაში, რობერტო მანჩინიმ ქულა ადრიანოს დიდებული დარტყმის შედეგად მოიპოვა, თორემ ისე 1:2-ს აგებდა. ეს გახლდათ მანჩინის პირველი თამაში ახალი გუნდის სათავეში, „კიევოს“ მწვრთნელისთვის, მარიო ბერეტასთვის კი ეს საერთოდ, სერია A-ში სადებიუტო თამაში იყო. საინტერესოა, რომ მანჩინიმ თავდასხმაში ერთგვაროვანი ფეხბურთელების, კრისტიან ვიერისა და ადრიანო წყვილი ათამაშა. ხოლო ზემოთ რომ გოლი ვახსენეთ, მართალია მისი მარილი ბრაზილიელის ლაზათიანად მოქნეულ ფეხში იყო, მაგრამ მანამდე ბურთი სწორედ ამ წყვილმა გაითამაშა.

მაგრამ „ინტერის“ თამაში, იმასთან, რაც „სან სიროზე“ მოხდა, ნამდვილად არაფერი იყო — ჩემპიონმა არც მეტი არც ნაკლები, სერია A-ში ახალაღზევებულ „ლივორნოსთან“ ვერ მოიგო. ცნობისათვის, ტოსკანელები სერია A-ს 55 წლიანი განშორების შემდეგ დაუბრუნდნენ.

არადა, „მილანმა“ მე-3 წუთზევე გახსნა ანგარიში — ეს კლარენს ზეედორფის სოლოს მოჰყვა, მაგრამ ხუთი წუთის შემდეგ სტუმარი ვიჯიანი შევარდა „შავ-წითელთა“ საჯარიმოში, მეკარე დიდას გაშლილ ხელს წამოედო და პენალტი ხომ მოინადირა, გოლკიპერიც გააგდებინა. თავდამსხმელის იონ დალ ტომასონის მაგივრად შესულმა ახალმა მეკარე აბიატიმ კრისტიანო ლუკარელის დარტყმა გაუშვა.

„შავ-წითელთაგან“ მეორე გოლიც ზეედორფმა შეაგდო, რაც მეორე ტაიმის დასაწყისში მოხდა, როდესაც ჰოლანდიელის ღონიერ დარტყმას წინ კაკას წამოწყებული შეტევა და პასი უძღოდა, თუმცა ლუკარელიმ, თხა თხაზე ნაკლებიო და საჯარიმო დარტყმით გაქვითა ანგარიში.

„კარგად დავიწყეთ, მაგრამ ყველაფერი დიდას გაძევებამ შეცვალა. ასე იყო თუ ისე, ჩვენ ათნიც ძლიერები ვიყავით“ — განაცხადა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე „მილანის“ მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ.

ზლატან იბრაჰიმოვიჩმა კი „იუვენტუსში“ სადებიუტო შეხვედრა ჩაატარა და როგორც ნამდვილ ვარსკვლავს შეშვენის, გოლი გაიტანა. ეს იყო აგრეთვე მწვრთნელის, ფაბიო კაპელოს პირველი მატჩი ტურინელთა ხელმძღვანელის რანგში.

„იუვენტუსის“ მასპინძელი გახლდათ „ბრეშა“, რომელიც მართალია რობერტო ბაჯომ დატოვა, მაგრამ „ინტერში“ ნათამაშევი ლუიჯი დი ბიაჯო, დანიელე ადანი და მატიას ალმეიდა ჰყავს.

ანგარიში 35-ე წუთზე გაიხსნა, როდესაც ალესანდრო დელ პიერომ კუთხური ჩააწოდა, ხოლო პაველ ნედვედმა ბურთს თავი დაარტყა. მეორე გოლიც მალე გაჩნდა — ნედვედმა ჯარიმა სწრაფად გაითამაშა, ჯონათან ძებინამ კი დავიდ ტრეზეგეს გადააწოდა, რათა მას ახლოდან დაელაშქრა მასპინძელთა კარი. მესამე კი, როგორც თავშიც გითხარით, ზლატანისა იყო — შვედმა რუბენ ოლივეირას პასი კარისკენ ზურგით მიიღო, დი ბიაჯოს შემოუბზრიალა და შორეულ კუთხეში დაარტყა.

„რომაში“ კი რუდი ფიოლერის დებიუტი შედგა. რომაელებმა მოიგეს, თუმცა გვარიანი ბრძოლა დასჭირდა და პლუს, მსაჯმა დონდარინიმ თითო გუნდიდან თითო კაცი გააგდო. უნდა ითქვას, რომ ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა „ფიორენტინამ“. რომაელთაგან სიყალბისთვის რასაკვირველია კაპიტანი ფრანჩესკო ტოტი გააფრთხილეს.

**პაპუნა ბედია**

| № | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 იუვენტუსი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 |
| 2 პალერმო | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 3 კალიარი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 4 რომა | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 5 ლაციო | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 |
| 6 ლეჩე | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 7 ატალანტა | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 8 მილანი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 9 ინტერი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 10 კიევო | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 11 ლივორნო | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 12 მესინა | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 13 რეჯინა | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 14 უდინეზე | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 15 პარმა | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 16 სამპდორია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | −1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | −1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 17 სიენა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | −1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | −1 | 0 |
| 18 ბოლონია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | −1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | −1 | 0 |
| 19 ფიორენტინა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | −1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | −1 | 0 |
| 20 ბრეშა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | −3 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | −3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |

**II ტური**

19 სექტემბერი

ბოლონია : მილანი
ალიანსი — კტპ 0:0; ჯაზი — როვანიემი 0:1; ჰამენლინა — ალიანსი 2:3; იარო — ტურკუ 1:0; მიუპა — ინტერი 1:1; ჰაკა — ჰიკ 3:2; როვანიემი — კტპ 1:3; ტამპერე — იარო 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰაკა | 22 | 16 | 4 | 2 | 47:14 | 52 |
| ტამპერე | 21 | 12 | 4 | 5 | 35:18 | 40 |
| ინტერი | 23 | 11 | 4 | 8 | 39:33 | 37 |
| ტურკუ | 22 | 11 | 3 | 8 | 31:27 | 36 |
| მიუპა | 23 | 9 | 8 | 6 | 28:23 | 35 |
| ალიანსი | 21 | 10 | 5 | 6 | 25:23 | 35 |
| ლაჰტი | 22 | 8 | 9 | 5 | 30:26 | 33 |
| ჰიკ | 22 | 7 | 10 | 5 | 32:25 | 31 |
| კტპ | 23 | 8 | 7 | 8 | 28:25 | 31 |
| ტპ 47 | 23 | 8 | 4 | 11 | 32:36 | 28 |
| როვანიემი | 24 | 7 | 4 | 13 | 26:41 | 25 |
| იარო | 23 | 6 | 3 | 14 | 24:41 | 21 |
| ჯაზი | 23 | 4 | 5 | 14 | 26:49 | 17 |
| ჰამენლინა | 22 | 2 | 6 | 14 | 25:47 | 12 |

### შვედეთი

**ალსვენსკა. XIX ტური**

იურგორდენი — ჰამარბი 1:0; ელფსბორგი — ლანდსკრონა 1:1; სუნდსვალი — იორებრო 1:0. *ჰელსინგბორგი — ტრელებორგი, გიოტებორგი — აიკ და კალმარი — იორგრიტე დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მალმიო | 18 | 10 | 6 | 2 | 31:12 | 36 |
| ჰალმსტადი | 18 | 10 | 5 | 3 | 37:20 | 35 |
| გიოტებორგი | 18 | 10 | 4 | 4 | 23:12 | 34 |
| კალმარი | 18 | 7 | 8 | 3 | 20:14 | 29 |
| ჰამარბი | 19 | 8 | 5 | 6 | 22:19 | 29 |
| იურგორდენი | 19 | 7 | 7 | 5 | 26:24 | 28 |
| სუნდსვალი | 19 | 6 | 7 | 6 | 20:21 | 25 |
| ელფსბორგი | 19 | 6 | 6 | 7 | 18:25 | 24 |
| ჰელსინგბორგი | 18 | 5 | 7 | 6 | 34:24 | 22 |
| აიკ | 18 | 4 | 6 | 8 | 15:24 | 18 |
| იორებრო | 19 | 4 | 6 | 9 | 20:36 | 18 |
| ლანდსკრონა | 19 | 3 | 8 | 8 | 18:27 | 17 |
| იორგრიტე | 18 | 3 | 7 | 8 | 15:25 | 16 |
| ტრელებორგი | 18 | 2 | 6 | 10 | 14:30 | 12 |

### ნორვეგია

**ტიპელიგა. XX ტური**

რუსენბორგი — ვოლერენგა 1:4; ფრედრიკსტადი — ჰამკამი 2:1; ლინი — ბოდიო გლიმტი 1:0; მოლდე — ტრომსიო 1:1; ვიკინგი — სოგნდალი 4:2; ლილესტრიომი — ოდ გრენლანდი 0:4. *ბრანი — სტაბეკი დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსენბორგი | 20 | 11 | 6 | 3 | 43:25 | 39 |
| ტრომსიო | 20 | 11 | 3 | 6 | 33:24 | 36 |
| ვოლერენგა | 20 | 9 | 7 | 4 | 27:18 | 34 |
| ლინი | 20 | 8 | 7 | 5 | 24:19 | 31 |
| ჰამ კამი | 20 | 8 | 6 | 6 | 28:28 | 30 |
| ბრანი | 19 | 9 | 2 | 8 | 33:31 | 29 |
| ლილესტრიომი | 20 | 7 | 7 | 6 | 37:28 | 28 |
| ოდ გრენლანდი | 20 | 7 | 7 | 6 | 34:31 | 28 |
| ბოდიო გლიმტი | 20 | 7 | 3 | 10 | 25:33 | 24 |
| ვიკინგი | 20 | 4 | 10 | 6 | 21:27 | 22 |
| მოლდე | 20 | 4 | 9 | 7 | 24:29 | 21 |
| ფრედრიკსტადი | 20 | 6 | 3 | 11 | 32:44 | 21 |
| სტაბეკი | 19 | 5 | 4 | 10 | 18:29 | 19 |
| სოგნდალი | 20 | 3 | 6 | 11 | 31:44 | 15 |

### ჩეხეთი

**გამბრინუსლიგა. V ტური**

მლადა ბოლესლავი — სლავია 1:1; სპარტა — ბუდეიოვიცე 2:0; ბრნო — ოპავა 2:1; სიგმა — პრჟიბრამი 3:0; ბანიკი — ბლშანი 1:0; დრნოვიცე — სინოტი 1:0; იაბლონეცი — ტეპლიცე 1:1. *ზლინი — ლიბერეცი დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 5 | 4 | 1 | 0 | 14:5 | 13 |
| ბრნო | 5 | 4 | 0 | 1 | 5:4 | 12 |
| ტეპლიცე | 5 | 3 | 2 | 0 | 7:4 | 11 |
| სიგმა | 5 | 3 | 0 | 2 | 7:6 | 9 |
| ბანიკი | 5 | 2 | 2 | 1 | 6:4 | 8 |
| სლავია | 5 | 2 | 1 | 2 | 6:4 | 7 |
| სინოტი | 5 | 2 | 1 | 2 | 3:3 | 7 |
| ლიბერეცი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:1 | 6 |
| ზლინი | 4 | 1 | 2 | 1 | 2:2 | 5 |
| იაბლონეცი | 5 | 1 | 2 | 2 | 3:4 | 5 |
| მლადა ბოლესლავი | 5 | 1 | 2 | 2 | 3:6 | 5 |
| პრჟიბრამი | 5 | 1 | 2 | 2 | 2:6 | 5 |
| ბუდეიოვიცე | 5 | 1 | 1 | 3 | 4:6 | 4 |
| ოპავა | 5 | 1 | 1 | 3 | 6:11 | 4 |
| დრნოვიცე | 5 | 1 | 0 | 4 | 4:7 | 3 |
| ბლშანი | 4 | 0 | 1 | 3 | 1:5 | 1 |

### ავსტრია

**მაქსბუნდესლიგა VIII ტური**

ბრეგენცი — მატერსბურგი 2:1; ტიროლი — პაშინგი 2:1; რაპიდი — ადმირა 2:1; ზალცბურგი — შტურმი 1:0; გრაცერი — აუსტრია 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რაპიდი | 8 | 5 | 2 | 1 | 17:6 | 17 |
| აუსტრია | 8 | 4 | 3 | 1 | 18:6 | 15 |
| გრაცერი | 8 | 5 | 0 | 3 | 8:6 | 15 |
| ადმირა | 8 | 4 | 0 | 4 | 15:10 | 12 |
| ზალცბურგი | 8 | 3 | 3 | 2 | 10:8 | 12 |
| ტიროლი | 8 | 3 | 3 | 2 | 10:11 | 12 |
| პაშინგი | 8 | 3 | 1 | 4 | 10:13 | 10 |
| შტურმი | 8 | 2 | 1 | 5 | 5:9 | 7 |
| მატერსბურგი | 8 | 2 | 1 | 5 | 8:13 | 7 |
| ბრეგენცი | 8 | 1 | 2 | 5 | 7:26 | 5 |

**I დივიზიონი. VII ტური**

აუსტრია (ლ) — ვიორგლი 2:0; გრატკორნი — ალტახი 1:1; ლეობენი — ლინცერი 1:1; რიდი — კერნტენი 0:2; უნტერზიბენბრიუნი — კაპფენბერგი 1:3

### სერბეთი

**პრვა ლიგა. V ტური**

ვოივოდინა — ბორაცი 1:0; ზემუნი — ოფკ 3:2; ჩუკარიჩკი — ობილიჩი 2:1; ჰაიდუკი (ბ) — ჟელეზნიკი 0:0; ჰაიდუკი (კ) — სარტიდი 0:0; სუტიესკა — ბუდუჩნოსტი 0:1; ზეტა — ცრვენა ზვეზდა 1:1; პარტიზანი — რადნიჩკი 1:0

### ხორვატია

**ნაციონალ ლიგა VII ტური**

ზადარი — ზაგრები 2:1; სლავენი — მედიმურიე 2:0; კამენი — პულა 1:0; ოსიეკი — ინტერი 2:0; ვარტექსი — რიეკა 2:0; დინამო — ჰაიდუკი 3:0

### სლოვენია

**სი მობილ ლიგა. VI ტური**

ლიუბლიანა — დომზალე 1:1; დრავა — ოლიმპია 0:0; კოპერი — პრიმორიე 1:0; ნოვა გორიცა — მურა 2:0; ზაგორიე — ბელა კრაინა 1:1; პუბლიკუმი — მარიბორი 2:2

ფორმულა 1. 55-ე მსოფლიო ჩემპიონატი მეთხუთმეტე ეტაპი

# რუბენსს მოგებაც არ ეყო




REUTERS მონციდან

რუბენს ბარიკელოს წლეულს პირველი მოგება ეღირსა

მონცაში რბოლამდე „ფერარიმ“ უკვე მოიგვარა სეზონის უმთავრესი საქმე — ორივე, პილოტ-გუნდურ ჩათვლაში პირველობა, ანუ აბსოლუტური ჩემპიონობა ზედიზედ მეხუთედ მოიპოვა. დარჩენილ ეტაპებზე „სამეფო რბოლების“ ყველაზე წარმატებული საჯინიბოს საზრუნავი ისღაა, რომ უკვე მეშვიდე ტიტულგანაღდებულ მიხაელ შუმახერის მეწყვილე რუბენს ბარიკელომ საერთო მეორე ადგილი ხელიდან არ გაუშვას.

რუბინიო გუშინდლამდე 23 ქულით უსწრებდა ცხრილში მესამე საფეხურზე მყოფ ჯენსონ ბატონს და „მონცაზე“ მასზე რვა ქულით მეტი რომ მოეგროვებინა, ვიცეჩემპიონიც გახდებოდა სამი ეტაპით ადრე. 32 წლის ბრაზილიელმა სამიზნოდ პირველი ნაბიჯი შაბათს გადადგა, როცა დამაჯერებლად მოიგო კვალიფიკაცია, 11-წლიან კარიერაში მეთერთმეტედ და ინგლისელ კონკურენტზე ხუთი სასტარტო პოზიციით წინ მოკალათდა. ბარიკელომ 5,793-კილომეტრიან წრეს არნახული საშუალო სისწრაფით (260,4კმ/სთ) შემოუქროლა და საფორმულო ტრასების აბსოლუტური რეკორდი დაამყარა. ხუან-პაბლო მონტოიას შარშანწინდელი, ასევე მონცური მიღწევა 0,2 წამით გაუმჯობესდა. ძველმა რეკორდსმენმა მეორე შედეგი აჩვენა, მიხაელს კი ორჯერ ბალახში მცირედ გადასვლა არა მხოლოდ პოულის, პირველი რიგის დაკარგვად დაუჯდა.

82 წლის წინ აგებულ მონცას „აუტოდრომო ნაციონალეზე“ გუშინ ფორმულა 1-ის მოხეტიალე ცირკი ევროპას დაემშვიდობა — ჩემპიონატის დარჩენილი სამი რბოლა ჩინეთში, იაპონიასა და ბრაზილიაში ჩაივლის. თითქოს ამის გამოც იტალიის 55-ე დიდი პრიზის გათამაშება გამორჩეულად საინტერესო, დაძაბული და ბლომად გასწრებიანი გამოვიდა. ზღვრულ სიჩქარეებზე მწვავე სიტუაციების მიუხედავად, საბედნიეროდ ავარია არ მომხდარა.

დილიდან კი წვიმდა, მაგრამ რბოლის წინ მზემ გამოანათა და ასფალტი თითქმის გააშრო, თუმც რუბენსმა ვერ გარისკა და ბრძოლა საწვიმარი საბურავებით დაიწყო, რის გამოც მალე მოუხდა ბოქსებში სტუმრობა, რათა „მშრალ ფეხსაცმელზე“ გადასულიყო. არადა, რუბინიომ სტარტზე უპრობლემოდ შეინარჩუნა მეწინავეობა, მაგრამ ხუთიოდ წუთში ისე გაუჭირდა ტრასაზე ბოლიდის შეკავება, იძულებული გახდა ბორბლები შეეცვალა.

ყველაზე მკვირცხლად ფერნანდო ალონსო დაიძრა და ოსტატურად გაძვრა შუმახერსა და მონტოიას შორის, მეხუთე წრეზე კი საბოქსედ გამზადებული ბარიკელოც ჩამოიტოვა უკან. კარგა ხანს საპოდიუმო, მესამე ადგილსაც ინარჩუნებდა, მაგრამ 13 წრით ადრე „რენო“ მოსახვევში მიუსრიალდა და მოხრეშილ ზონაში გაეჭედა. ნანდომ სტიუარდებს, ანიშნა ტრასაზე დაბრუნებაში დახმარებოდნენ. იმათ კი ხელი არ გაატოკეს, მიწოლა აკრძალულიაო.

უკვე ზედიზედ მეორედ შუმიმ სტარტი ჩააფლავა. ისევე, როგორც ორი კვირის წინ ბელგიაში, ახლაც მძიმედ დაიწყო და თავიდანვე სამმა მეტოქემ აუარა გვერდი, მერე კი ორჯერ გადასცდა ტრასას და ქარავანის კუდში, მე-15 აღმოჩნდა. მოსრიალების რა მოგახსენოთ, მაგრამ ჩემპიონის ნელი ტემპი „მძიმე“ ტაქტიკის ბრალი ყოფილა — ამჯერადაც თითქმის სავსე ავზით დაიწყო და ყველაზე გვიან ჩაიმატა საწვავი (ერთპიტსტოპიან დევრე [illegible]) სოლო ბოქსისწინა წრეებზე ისეთი სისწრაფე განავითარა, რომ მეექვსე პოზიციამდე აინაცვლა.

ბარიკელოს ერთით მეტი, სამი პიტსტოპი ჰქონდა (იქნებ სტრატეგია ფერარელთა „შტაბიდან“ უშუალოდ რბოლისას შეუცვალეს) და გასაკვირი კია, მაგრამ „წითელი ეშმაკების“ ამ განსხვავებულმა გეგმამ არეულ-დარეულ რბოლაში შუმი—კელოს დუეტს მერვე დუბლით გამარჯვება მოუპოვა, ისევ და ისევ პილოტთა ოსტატობის და უსწრაფეს—უნაკლო „ფერარის“ დამსახურებით. აღსანიშნავია, რომ რბოლის მსვლელობისას მიხაელმა ოთხ მანქანას გაასწრო კილომეტრიანი სასტარტო სწორის ბოლოს, სადაც ძრავა მაქსიმალური დატვირთვით მუშაობს და სიჩქარე 360 კილომეტრს აღწევს. რუბენსი ქარივით დაქროდა ცოტა ბენზინის გამო, აკი რამდენიმე უსწრაფესი წრეც მიითვალა, რომელთაგან საუკეთესო 257,3 კმ/სთ სარეკორდო საშუალო სიჩქარით „გაიფრინა“.

რბოლის მიწურულს შუმახერი თანაგუნდელს კი წამოეწია, მაგრამ გასწრება არც უცდია და ბარიკელომ გაიმარჯვა ჰეთ თრიკით (პოული, უსწრაფესი წრე, მოგება), რაც ურთულესი შესასრულებელია. ამიტომაც ბავშვივით აღჩატებული იყო პოდიუმზე და ბრაზილია - იტალიის ჰიმნების დროსაც ვერ გაჩერდა. რუბენსმა თავისი საქმე კი გააკეთა, მაგრამ ბატონს მხოლოდ ოთხი ქულით აჯობა, ასე რომ ვიცეჩემპიონობას ალბათ ორი კვირის მერე ჩინეთში გაინაღდებს.

**გია ახალაძე**

### რბოლის შედეგები

**იტალიის დიდი პრიზი**
**12 სექტემბერი. მონცა**
დისტანცია 53 წრე — 306,720კმ

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | (1) | ბარიკელო (ფერარი) | 1:15.18,448 (244,4კმ/სთ) |
| 2. | (3) | მ.შუმახერი (ფერარი) | ჩამორჩა 01,347 |
| 3. | (6) | ბატონი (B.A.R) | 10,197 |
| 4. | (5) | სატო (B.A.R) | 15,370 |
| 5. | (2) | მონტოია (უილიამსი) | 32,352 |
| 6. | (10) | კულჰარდი (მაკლარენი) | 33,439 |
| 7. | (8) | პიცონია (უილიამსი) | 33,752 |
| 8. | (15) | ფიზიკელა (ზაუბერი) | 35,431 |
| 9. | (12) | ვებერი (იაგუარი) | 56,761 |
| 10. | (9) | ტრული (რენო) | 1.05,316 |
| 11. | (11) | ზონტა (ტოიოტა) | 1.22,531 |
| 12. | (16) | მასა (ზაუბერი) | 1 წრით |
| 13. | (14) | კლიენი (იაგუარი) | 1 წრით |
| 14. | (20) | ჰაიდფელდი (ჯორდანი) | 1 წრით |
| 15. | (19) | ბაუმგარტნერი (მინარდი) | 3 წრით |

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | | |
|---|---|---|
| (4) | ალონსო (რენო) | გაიარა 40 წრე |
| (17) | პანტანო (ჯორდანი) | 33 |
| (18) | ბრუნი (მინარდი) | 29 |
| (7) | რაიკონენი (მაკლარენი) | 13 |
| (13) | პანი (ტოიოტა) | 0 |

ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი

**პოული**
ბარიკელო — 1.20,089 (260,4 კმ/სთ)

**საუკეთესო წრე**
ბარიკელო — 1.21,046 (257,3 კმ/სთ)

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

| | ავსტრალია 7 მარტი | მალაიზია 21 მარტი | ბაჰრეინი 4 აპრილი | სან მარინო 25 აპრილი | ესპანეთი 9 მაისი | მონაკო 23 მაისი | ევროპა 30 მაისი | კანადა 13 ივნისი | აშშ 20 ივნისი | საფრანგეთი 4 ივლისი | დ.ბრიტანეთი 11 ივლისი | გერმანია 25 ივლისი | უნგრეთი 15 აგვისტო | ბელგია 29 აგვისტო | იტალია 12 სექტემბერი | ჩინეთი 26 სექტემბერი | იაპონია 10 ოქტომბერი | ბრაზილია 24 ოქტომბერი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მ.შუმახერი ფერარი, გერმანია | 10 | 10 | 10 | 10 | 10 | – | 10 | 10 | 10 | 10 | 10 | 10 | 10 | 8 | 8 | | | | 136 |
| 2 ბარიკელო ფერარი, ბრაზილია | 8 | 5 | 8 | 3 | 8 | 6 | 8 | 8 | 8 | 6 | 6 | – | 8 | 6 | 10 | | | | 98 |
| 3 ბატონი B.A.R., დ. ბრიტანეთი | 3 | 6 | 6 | 8 | 1 | 8 | 6 | 6 | – | 4 | 5 | 8 | 4 | – | 6 | | | | 71 |
| 4 ტრული რენო, იტალია | 2 | 4 | 5 | 4 | 6 | 10 | 5 | – | 5 | 5 | – | – | – | – | – | | | | 46 |
| 5 ალონსო რენო, ესპანეთი | 6 | 2 | 3 | 5 | 5 | – | 4 | – | – | 8 | – | 6 | 6 | – | – | | | | 45 |
| 6 მონტოია უილიამსი, კოლუმბია | 4 | 8 | – | 6 | – | 5 | 1 | – | – | 1 | 4 | 4 | 5 | – | 4 | | | | 42 |
| 7 რაიკონენი მაკლარენი, ფინეთი | – | – | – | 1 | – | – | – | 4 | 3 | 2 | 8 | – | – | 10 | – | | | | 28 |
| 8 კულჰარდი მაკლარენი, დ. ბრიტანეთი | 1 | 3 | – | – | – | – | – | 3 | 2 | 3 | 2 | 5 | – | 2 | 3 | | | | 24 |
| 9 სატო B.A.R., იაპონია | – | – | 4 | – | 4 | – | – | – | 6 | – | – | 1 | 3 | – | 5 | | | | 23 |
| 10 ფიზიკელა ზაუბერი, იტალია | – | – | – | – | 2 | – | 3 | 5 | – | – | 3 | – | 1 | 4 | 1 | | | | 19 |
| რ. შუმახერი (უილიამსი) — 12, მასა — 10, ვებერი — 7, პანი, პიცონია — 6, და მატა (ტოიოტა), კლიენი, ჰაიდფელდი — 3, გლოკი (ჯორდანი) — 2, ბაუმგარტნერი — 1 ქულა | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 ფერარი | 18 | 15 | 18 | 13 | 18 | 6 | 18 | 18 | 18 | 16 | 16 | 10 | 18 | 14 | 18 | | | | 234 |
| 2 B.A.R. | 3 | 6 | 10 | 8 | 5 | 8 | 6 | 6 | 6 | 4 | 5 | 9 | 7 | – | 11 | | | | 94 |
| 3 რენო | 8 | 6 | 8 | 9 | 11 | 10 | 9 | – | 5 | 13 | – | 6 | 6 | – | – | | | | 91 |
| 4 უილიამსი | 9 | 8 | 2 | 8 | 3 | 5 | 1 | – | – | 1 | 4 | 6 | 7 | – | 6 | | | | 60 |
| 5 მაკლარენი | 1 | 3 | – | 1 | – | – | – | 7 | 5 | 5 | 10 | 5 | – | 12 | 3 | | | | 52 |
| ზაუბერი — 29, იაგუარი — 10, ტოიოტა — 9, ჯორდანი — 5, მინარდი — 1 ქულა | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

# არ მომკვდარა, აღარც სძინავს



შემონდ უილიამსმა თავის პირველ ოფიციალურ ქართულ თამაშში 19 ქულა და 10 პასი მოგვიხვეჭა

**საქართველო 85:78 ფინეთი**

11 სექტემბერი. სპორტის სასახლე. 12 000 მაყურებელი

მსაჯები: ჰალუკ იესილოღლუ (თურქეთი), [illegible]

21:23 16:22 21:11 27:22

| საქართველო | წუთი | მოხ | პასი | ჩაჭ | დაფ | ქულა |
|---|---|---|---|---|---|---|
| უილიამსი | 40 | 4 | 10 | 1 | - | 19 |
| მარკოიშვილი | 37 | 6 | 2 | - | - | 12 |
| ცქიტიშვილი | 17 | 3 | - | - | - | 4 |
| ვ. ბოისა | 35 | 12 | 1 | 1 | - | 15 |
| ფაჩულია | 38 | 12 | 2 | 4 | 3 | 30 |
| ცინცაძე | 18 | 3 | 3 | 2 | - | 4 |
| ხეცურიანი | 15 | 2 | 1 | - | - | 1 |
| **ფინეთი** | | | | | | |
| რანიკო | 35 | 1 | 5 | - | - | 12 |
| რიიჰელა | 18 | 2 | - | - | - | 3 |
| მატინენი | 32 | 2 | 4 | - | - | 23 |
| მოტოლა | 34 | 5 | 6 | 1 | - | 21 |
| კოტი | 31 | 7 | - | 1 | 1 | 12 |
| ნოოპილა | 21 | 4 | 2 | 1 | - | 5 |
| ლეჰტორანტა | 20 | 3 | 4 | 1 | - | 2 |
| ულანდერი | 7 | 1 | 1 | - | - | - |
| ლეჰტონენი | 3 | - | 2 | - | - | - |



ვლადიმერ ბოისას, როგორც ყოველთვის, თავი არ დაუზოგავს

11 სექტემბერს „სპორტის სასახლე“ დაინგრევაო, ვწერდით და მართლა გვინდოდა, ასე მომხდარიყო. ბინ ლადენის თვითმფრინავები და ტროტილით მუცელსავსე შეწირული ქალები არ გვიგულისხმია. ჩვენ მხოლოდ სიხარული გვწყურია. სამი წელია, კალათბურთი არ გვინახავს, სამი წელია, „ვერის ბაღს“ და „დინამო“ — „ბასკოს“ არ გავცილებივართ.

ფიბა-ს პრეს-მიმოხილვაში ამოვიკითხეთ, ოფიციალურ ოქმში 10 000 ეწერა, მაგრამ საქართველო — ფინეთის მატჩს 12 000 მაყურებელი დაესწროო, დიდი სპორტული მოვლენაო... გაიგებს ამას ფრანგი ან გერმანელი? ის კი არა, იტალიელს გაუჭირდება. ცოტა გვინახავს და ბევრი გვინდოდა. უნახავებმა საქართველოს გამარჯვება ვნახეთ...

ვის გახსოვთ, ბოლოს რამდენი წლის წინ გავსებულმა „სპორტის სასახლემ“ საბედნიეროდ გაუძლო სიყვარულს, მონატრებას, ხალხის გრიალს და არ დანგრეულა. სამწუხარო კი ისაა, რომ ფინეთის ნაკრებიც გადაურჩა დანგრევას. ნუ მოვყვებით, სტეფანია რომ ჩამოსულიყო, ნაცვლიშვილს ფილტვის ოპერაცია არ გადაეტანა და ცქიტიშვილს ტერფზე წყლული არ გახეთქოდა, ფინეთს ამას და ამას ვუზამდითო. მადლობა ღმერთს, საქართველოს ნაკრებში კიდევ არიან ხალხი, ვისაც დიდი კალათბურთის თამაში და დიდი სიხარულის მოტანა შეუძლია — ფაჩულია, ბოისა, შემონდ უილიამსი, ან თუნდაც მანუჩარ მარკოიშვილი, რომელმაც შაბათს ფაქტობრივად პირველად ითამაშა ეროვნულ ნაკრებში. საშუალოზე საშუალო ფინელების შინ შვიდი ქულით ძლევა არაა მათი მაქსიმუმი. მომავალი თქვენია, ბიჭებო, დაგვიბრუნეთ კალათბურთი!

დიდი ენთუზიაზმით, მაგრამ მძიმედ კი დავიწყეთ. გერმანიის ნაკრების ყოფილმა თავკაცმა ჰენრიკ დეტმანმა უვარსკვლავო, თუმც შეთამაშებული და ნაწრთობი გუნდი ჩამოიყვანა. ფინელებს არ ჰყავდათ არც ზაზა ფაჩულია და არც შემონდ უილიამსი, მაგრამ თავპატიჟი არ გამოუდვიათ, ყოველგვარი მოკრძალების გარეშე შეუდგნენ საქართველოს ნაკრების კალათში ორსამქულიანების ყრას და ამ საქმეში შესამჩნევ წარმატებას თავიდანვე მიაღწიეს.

საწყის წუთებში ქართველები დაწინაურდნენ, მაგრამ თამაშის დალაგება არ გამოსდიოდათ და ძირითადად ინდივიდუალურად ცდილობდნენ მეტოქის დაჩაგვრას. ფარქვეშ ფაჩულიამდე ბურთი უპრობლემოდ მიდიოდა, ზაზაც ან აგდებდა ან მეურვეს პერსონალურის მიღებას აიძულებდა. ლომივით იბრძოდა ვოვა ბოისა, მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც მატჩის ყველაზე მაღალმა მონაწილემ ნიკა ცქიტიშვილმა ფეხი იტკინა და თამაშს გამოეთიშა. სამწამიანის მისადგომებთან მისი ადგილი ბოისამ დაიკავა და მეტოქის ფარზე რამდენიმე ბურთი მოხსნა.

ამის მიუხედავად საქართველოს მაინც უჭირდა ბურთის გათამაშება და თამაშის დალაგება. შემონდ უილიამსმა რამდენიმე სროლა ააცილა, ორჯერ კი შეტევაში დაჯარიმდა. ფაჩულიას ომით მოპოვებულ ქულებს სამქულიან ნიშნულთან ხშირად უმეთვალყურეოდ მიტოვებული ფინელები აუღელვებლად აბათილებდნენ და პირველი მეოთხედიც მათ დარჩათ — 23:21.

მასპინძელთაგან მინიჭებული თავისუფლებით ფინელებმა მეორე მეოთხედში კიდევ უფრო ისარგებლეს, პირველი ტაიმი 45:37 მოიგეს და მესამე მეოთხედის დაწყებიდან ორიოდ წუთში 51:39 დაწინაურდნენ... ვაი, საქართველო! გუნდი — რომელიც ჩვენი ეროვნული სიამაყე უნდა გახდეს და რომელშიც უსასყიდლოდ თამაშს შემონდ უილიამსი იმის გამო დათანხმდა, რომ ოლიმპიადაზე, ჰა, სულ ცოტა, ევროპის ჩემპიონატზე თამაშის პერსპექტივა დაინახა — ფინეთთან 12 ქულას აგებდა ევროპის საკვალიფიკაციო ტურნირის საშინაო მატჩში...

მაგრამ ჩავარდა ერთი-ორი ბურთი სტუმართა კალათში, ბოლობოლო გაისროლა შემონდმა სამქულიანი და აგრიალდა 12 ათასი კაცი. ფინელები ჯერ დაიძაბნენ, მერე კი დაიბნენ. ცინცაძემ ვერცხლისწყალა რონიკოს ბურთი მოპარა და ბოისას ჩატენვის და რამდენიმეწუთიანი მონაკვეთის 13:0 მოგების შემდეგ საქართველო 52:51 დაწინაურდა. ვინ იცის, ამის მერეც რა დღეს დავაყრიდით გაოგნებულ სტუმრებს, ჰენრიკ დეტმანს წუთშესვენება რომ არ აეღო და შეგირდები არ გამოეფხიზლებინა. მესამე მეოთხედის დარჩენილი სამი წუთი ქულა-ქულა თამაშში გაილია და საქართველოს ნაკრებმა ბოლო მეოთხედის წინ ორქულიანი უპირატესობა (58:56) და საბრძოლო განწყობა შეიმარაგა.

დასკვნით ათწუთეულში ზაზა ფაჩულიამ და მისმა თანამებრძოლებმა ყველაფერი გააკეთეს რაც შეიძლება დიდი სხვაობით მოსაგებად. ფინელებს სულ უფრო და უფრო უჭირდათ გოლიათი ქართველის შეჩერება და ერთი-ორი სამქულიანიც მიიღეს მარკოიშვილისა და უილიამსისგან. სხვაობა თანდათან უახლოვდებოდა იმ 15 ქულას, რომელიც ჩვენი კალათბურთის მესვეურებმა საორიენტაციოდ დაგეგმეს. მატჩის დამთავრებამდე ორიოდ წუთით ადრე 12 ქულითაც დავწინაურდით და წინაც წავიწევდით, 85:73 ანგარიშზე შიო ხეცურიანსა და ვოვა ბოისას შორიდან ხელი რომ არ მოსცარვოდათ. ფინელებმა კი დარჩენილ დროში ხუთი უპასუხო ქულის გაკეთება მოახერხეს და „სპორტის სასახლის“ დამთრგუნველ გრიალს თავგამორიდებულები შინ შედარებით დამშვიდებულები გაფრინდნენ.

საქართველოს ალმდგარი ნაკრები კი მორიგი მატჩისთვის შეუდგა მზადებას. ჩვენებურები 16 სექტემბერს სკოპიეში მაკედონიელებს ხვდებიან, რომელთაც ლუქსემბურგში 94:69 გაანადგურეს ჩვენი ჯგუფის მეოთხე და ყველაზე სუსტი მონაწილე.

**ირაკლი ფირაშვილი**

# ნაცმატჩეუს

**დრაჟენ ბრაიკოვიჩი**, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი:

ფინეთის ნაკრები ჩვენზე უკეთ იყო მომზადებული და პირველ ტაიმში გაცილებით ორგანიზებულად ითამაშა. მეორე ნახევარში ტაქტიკა შევცვალეთ, დაცვა გავამაგრეთ და ყურადღება პერიმეტრზე გადავიტანეთ, რათა ფინელთა სამქულიანები ალგვეკვეთა, რამაც გაგვიმართლა. ჩვენ გავიმარჯვეთ და შედეგით კმაყოფილები ვართ. რამდენიმე საათში ყველაფერს დავივიწყებთ და მაკედონიასთან საბრძოლველად მოვემზადებით.

**ვლადიმერ ბოისა:**

ფინეთმა თამაშის ორგანიზებით გვაჯობა. ისინი გაცილებით შეკრულად და კომბინაციურად თამაშობდნენ. ჩვენ ინდივიდუალიზმის ხარჯზე ვიმარჯვეთ. თანაც მეორე ტაიმში დაცვაში თამაში დავალაგეთ და მაყურებელმაც ხომ უდიდესი მუხტი გადმოგვცა.

**მანუჩარ მარკოიშვილი:**

დასაწყისში მაყურებელთა ეიფორია გადმოგვედო და ჩვენს თავში ზედმეტად დარწმუნებულებმ მალე ავირიეთ. ფინელები საკმაოდ თავდაჯერებულები იყვნენ. მათ დიდი გამოცდილება უმაგრებდათ ზურგს და თამაშიც იოლადააწყვეს. შესვენებაზე კარგად გავაანალიზეთ ჩვენი ხარვეზები და მეტოქეს ზუსტად ის ტაქტიკა დავუპირისპირეთ, რომელიც გამარჯვებისთვის იყო საჭირო.

**ზაზა ფაჩულია:**

ძალიან გახარებული ვარ, თუმც შეგვეძლო, უფრო დიდი სხვაობითაც მოგვეგო. ფინელები ძალიან შეთამაშებულნი იყვნენ, ფარქვეშ იშვიათად შემოდიოდნენ და შორი სროლებით გადიოდნენ ფონს. რამე უნდა შეცვლილიყო და ეს მეორე ტაიმში მოვახერხეთ — დაცვაზე გადავერთეთ და შეტევაშიც ყველფერი გაგვიადვილდა. ეს იყო პირველი მატჩი ხანგრძლივი შესვენების შემდეგ და, დარწმუნებული ვარ, კიდევ მოვუმატებთ. მაკედონიაშიც აუცილებლად უნდა მოვიგოთ, ჩვენი მიზანი მხოლოდ გამარჯვებაა.

**შემონდ უილიამსი:**

პირველ ტაიმში ყველას გაგვიჭირდა, მათ შორის მეც. მართალია, შესვენების შემდეგ გაცილებით უკეთ ავთამაშდი და საჭირო სამქულიანებიც ჩავაგდე, მაგრამ ვთვლი, რომ გუნდმა გაიმარჯვა, საქართველომ გაიმარჯვა.

**ჰენრიკ დეტმანი**, ფინეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი:

მაყურებელმა უდიდესი დახმარება გაგიწიათ. შეიძლება ითქვას, მათი დახმარებით მოიგეთ ეს მატჩი. შედეგით მთლად უკმაყოფილო არ გახლავართ, ეს მით უფრო, რომ ფინეთშიც გვაქვს სათამაშო. ვფიქრობ, იქ 7 ქულაზე მეტით დაგამარცხებთ.



საქართველო-ფინეთის სანახავად თბილისში ფიბა ევროპის აღმასრულებელი დირექტორი ნარ ზანოლინი გვეახლა. ევროკალათბურთის ჩინოსანს, რა თქმა უნდა, საქართველოს კალათბურის ფედერაციამ უმასპინძლა, სადაც შედგა კიდეც ზანოლინის პრესკონფერენცია. ქართველ ჟურნალისტებს, ცხადია, ფიბა-ევროპის იმ გაუგებარი გადაწყვეტილების მიზეზები აინტერესებდათ, რომელიც ამ ორგანიზაციამ ახლახან მიიღო და ევროპული ნაკრებები ორ დივიზიონად გაყო...

# ფიბა შეუვალია: ითამაშეთ და გეშველებათ



ბესიკ ლიპარტელიანი და ნარ ზანოლინი

— ასეთი გადაწყვეტილება იმიტომ მივიღეთ, რომ თავიდან აგვეშორებინა უინტერესო მატჩები. ძლიერმა გუნდებმა უარი თქვეს სუსტებთან თამაშზე და ჩვენც ანგარიში გავუწიეთ მათ. მაგალითად, სერბეთ-ჩერნიგორიელებმა გვითხრეს, მალტელებთან საერთო რა გვაქვს, რა აზრი აქვს მათთან თამაშსო. მე პირადად არაფერი საწინააღმდეგო არ მაქვს მალტასთან, მაგრამ საერთო საქმისთვის ჯობდა, სუსტები ძლიერებისგან გამოგვერჩია და ცალ-ცალკე ტურნირები ჩაგვეტარებინა.

**— როცა გუნდებს ახარისხებდით, მხედველობაში რა მიიღეთ?**

— 1994 წლის შემდეგ გამართულ ოფიციალურ მატჩებში მოგროვილი ქულები. ზოგ ქვეყნებს თანაბარი კოეფიციენტი აღმოაჩნდათ, ასეთ შემთხვევაში უპირატესობა იმ ნაკრებს მიენიჭა, რომელიც ბოლო ოფიციალურ ტურნირზე უკეთ გამოვიდა. ვფიქრობ, ამ ფორმატის უპირატესობა ისიცაა, რომ გუნდებს ყოველწლიურად უწევთ თამაში, ადრე კი ვინც საკვალიფიკაციო ეტაპს ვერ გაივლიდა, შემდეგ ორი წელი უქმად უნდა ყოფილიყო. ახლა ევროპის თითოეულ ნაკრებს ყოველ წელს უხდება მინიმუმ 3 მატჩის ჩატარება, ხოლო ვინც იყოჩაღებს, მომდევნო ციკლში უკვე შესარჩევ ტურნირში ჩაერთვება.

**— თქვენი არგუმენტები გასათვალისწინებელი და მისაღებია, თუმც ამ ფორმატს ახლაც უამრავი მოწინააღმდეგე ჰყავს — თუნდაც ჰენრიკ დეტმანი, ფინეთის ნაკრების მწვრთნელი... ხომ არ აპირებთ ახლანდელი სისტემის გადახედვას?**

— გასაგებია, რატომაც არიან ფინელები უკმაყოფილონი. ეროვნულ გუნდებთან ერთად, როგორც იცით, ყველა ასაკობრივი ნაკრებია დივიზიონებად დაყოფილი და ფინელებს ყველა გუნდი B დივიზიონში ჰყავთ. ანუ მათ ევროჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაში კიდევ კარგა ხანს არ მოუწევთ. ვფიქრობ, გათამაშების ეს სისტემა საკმაოდ სამართლიანი და მისაღებია, მის რეფორმირებას ჯერჯერობით არ ვაპირებთ.

**ფიბა-ს თუ აქვს იმის უფლება, ნბა-დან ნაკრებში ჩამოუსვლელობის გამო მოთამაშე ან ნებისმიერი, ვინც ამას ხელს შეუშლის, დასაჯოს?**

— ჩვენი ორგანიზაცია პასუხს მხოლოდ ევროპაში მოთამაშე კალათბურთელებზე აგებს. თუ ვინმე არ მიდის ნაკრებში ან არ უშვებენ, ჩვენ შეგვიძლია, მწარედ დავსაჯოთ დებულების დამრღვევი, ხოლო თუ მოთამაშე ნბა-შია, ამის გაკეთება დიდ სირთულეებთან იქნება დაკავშირებული — შეიძლება ითქვას, ჩვენ ვერ დავავალდებულებთ ნბა-ელებს.

**— რატომ, ხომ არსებობს ნბა-სა და ფიბა-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც მოთამაშეთა ნაკრებში გაშვებას არეგულირებს?**

— არსებობს, მაგრამ ეს ხელშეკრულება უფრო სადაზღვევო საკითხებს არეგულირებს. ნბა ფინანსური სამყაროა, იქ ძალიან დიდი ფული ტრიალებს. ამ ფულის გადამხდელებს არ სურთ, მათი მოთამაშე დამატებითი მატჩებით დაიტვირთონ. თუნდაც „დალასის" მფლობელი მარკ კუბანი აიღეთ. მას არ აინტერესებს, რა ხდება თავისი გუნდის გარეთ და მის მოთამაშეებს ეროვნულ გუნდში გასამგზავრებლად გამუდმებით პრობლემები ექმნებათ. მიუხედავად იმისა, რომ ნბა-ს კომისარი დევიდ შტერნი ჩვენს მხარეზეა, ის ვერაფერს უხერხებს კლუბის მილიონერ მფლობელებს. ისე კი, თუ მოთამაშეს ნაკრებში სურს თამაში, ვერანაირი ძალა წინ ვერ დაუდგება. ვინც მოისურვა, თამაშობს კიდეც თავის ეროვნულ გუნდში.

**ირაკლი პერტაია**

# WWW.KORKIA.GE

## გაიხსენეთ მიხეილ ქორქია ვირტუალურად



არ ვიცით, რამდენი წელი უნდა გავიდეს, რომ მიხეილ ქორქია ხალხს დაავიწყდეს. ეს ალბათ არც მოხდება. და მაინც, დიდი ქართველი კალათბურთელის სახელის უკვდავსაყოფად შაბათს მსოფლიოს გლობალურ ქსელში ახალი ვებ-გვერდი — **www.korkia.ge** გაჩნდა.

ვებ-გვერდის შექმნის იდეა, რა თქმა უნდა, მიხეილ ქორქიას ოჯახს და მის მეგობრებს დაებადათ და შაბათს **www.korkia.ge**-ის პრეზენტაციაც მოეწყო კაფე „მსოფლიო სპორტში". ამ კეთილი საქმის ორგანიზება ბატონი მიშას სიძემ, ფეხბურთის პროფესიული ლიგის პრეზიდენტმა დიმიტრი რამიშვილმა ითავა და ამიერიდან ინტერნეტის ნებისმიერი მომხმარებელი ამომწურავ ინფორმაციას მიიღებს დიდი ქართველი კალათბურთელის შესახებ.

ვებ-გვერდზე ამოიკითხავთ მიხეილ ქორქიას ბიოგრაფიასა და სტატიებს დიდ სპორტში გადადგმული პირველი ნაბიჯების შესახებ. თითოეული წარმატების, ნებისმიერი მედლის მოპოვების ისტორია მეტად საინტერესოდაა გადმოცემული.

„მსოფლიო სპორტში" მიხეილ ქორქიას ოჯახმა, მეგობრებმა, ვეტერანმა კალათბურთელებმა მოიყარეს თავი. პრეზენტაციაზე იმყოფებოდნენ ის ჟურნალისტები და ინტერნეტ-საქმოსნები, რომლებსაც წილი უდევთ **korkia.ge**-ის შექმნაში.

ახლობლებმა ბატონი მიშას 57 წლის იუბილეს დაამთხვიეს მისი სახელობის ვებ-გვერდის გახსნა. ითქვა ბევრი ლამაზი სიტყვა, იყო ცრემლიც, ტკივილიც და იყო წარსულის ლამაზი დღეების, მიხეილ ქორქიას ტრიუმფალური გამარჯვებების გახსენებაც. ყველას თვალებში ამოიკითხავდით ბატონი მიშას არყოფნით გამოწვეულ სევდას.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ სტუმრებმა ჭიქა ღვინით კიდევ ერთ ხელ გაიხსენეს დიდი სპორტსმენი და მას დაბადების დღე მიულოცეს.

თქვენც გაიხსენეთ მიხეილ ქორქია **www.korkia.ge**-ზე.

**ირაკლი პერტაია**

www.korkia.ge



US OPEN 2004 ნიუ იორკი. ჰარდი. საპრიზო 19 050 000 $

# რუსულმა არმიამ ნიუ იორკიც აიღო

**ქალები**

**ნახევარფინალი**

**სვეტლანა კუზნეცოვა (9, რუსეთი) — ლინდსი დევენპორტი (5, აშშ) 1:6, 6:2, 6:4; ელენა დემენტიევა (6, რუსეთი) — ჯენიფერ კაპრიატი (8, აშშ) 6:0, 2:6, 7:6 (7:5)**

ამერიკულმა ჩოგბურთმა კიდევ ერთი მძლავრი დარტყმა მიიღო — წინა დღეს კაცთა მეოთხედფინალებში ჩაფლავებული ანდრე აგასისა და ენდი როდიკის კვალად ქალთა ნახევარფინალურ შეხლებში ლინდსი დევენპორტმა და ჯენიფერ კაპრიატიმაც ჩაიფლავეს. და 1986 წლის შემდეგ ეს პირველად გამოვიდა, რომ არც კაცთა და არც ქალთა ფინალში ამერიკელ მეჩოგნეებს არ უთამაშიათ.

არადა, ამას ყველაფერს ალბათ ავირიდებდით, უბრწყინვალეს ფორმაში მყოფ ლინდსი დევენპორტს ნახევარფინალამდე სამი საათით ადრე ისედაც მტკივანი ბარძაყი კიდევ უფრო რომ არ გაელიზიანებინა. ექიმებმა ტრავმის გაყუჩება როგორღაც მოახერხეს და 28 წლის ლინდსიმაც პირველ სეტში უპრობლემოდ გადაურბინა 10 წლით უმცროს კუზნეცოვას. მაგრამ უკვე მეორე სეტიდან აშკარა გახდა, რომ ფეხი მას მატჩის გამარჯვებით გასრულებას აღარ დაანებებდა. ასეც მოხდა — ლინდსის 22-მოგებიანი საზაფხულო სერია ყველაზე ხაბედისწერო მომენტში წაემურდლა და ახლა უკვე დანამდვილებით შეიძლება ორი რამის თქმა:

ა) საამორშაბათო რეიტინგსიაში ჟუსტინ ენენ-არდენის მიერ დაცლილ უპირველეს საფეხურს არა დევენპორტი, არამედ ფრანგი ამელი მორესმო დაიკავებს. და ბ) თავად ლინდსის, ვინაც უკვე სამი თვეა ამბობს, რომ წლის ბოლოს ჩოგანს სამზარეულოში ჩამოკიდებს, ამის გაკეთებას ველარაფერი და ველარავინ გადააფიქრებინებს.

რაც შეეხება მეორე ნახევარფინალს, ელენა დემენტიევამ მართალია, კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ მენტალურად ისე მყარი ვერ არის, როგორც მისი სხვა, დაწინაურებული თანამემამულენი, მაგრამ დრანცულა ჯენიფერარის საგვემი მენტალური სიმყარე და აგრესიულობა მაინც მოიძია. ამაზე თუნდაც ისიც მეტყველებს, რომ ჯენის 15 ქულიანი დარტყმის წილ მან ქულიანად ჯამში 44-ჯერ დააგლაჯუნა, ხოლო მესამე სეტში 11 ბრეიკპოინტის გადარჩენა შეძლო.

**ფინალი**

**კუზნეცოვა — დემენტიევა 6:3, 7:5**

მაშ ასე — სვეტლანა კუზნეცოვა უკვე მესამე რუსი ქალი გახდა, ვინაც წლეულს — და საერთოდაც — დიდი მუზარადის რაგინდარა ტურნირზე იმარჯვა.

შეგახსენებთ, რომ რუსქალთა სადიდმუზარადო ტიტულფალარათი წლევანდელ როლანდ გაროსობაზე დაიწყო, როცა ანასტასია მისკინამ პირველ შიდარუსულ სლემფინალში ელენა დემენტიევას აჯობა. უიმბლდონზე კი მართალია ისევ ორი რუსქალის სატიტულო შეხლას გადავრჩით, მაგრამ ფინალში მარია შარაპოვამ სერენა უილიამსი ისე დაანგრია, ეს უკანასკნელი მას შემდეგ აზრზეც ველარ მოსულა.



ელენა დემენტიევამ (მარცხნივ) წლეულს უკვე მეორე სლემფინალი წააგო, ამჯერად სვეტლანა კუზნეცოვასთან

ელენა დემენტიევამ კი უკვე მეორე შიდარუსული სლემფინალი წააგო. ის ჯერ კიდევ სამი დღის წინ ამბობდა, ნეტავ, ფინალში კომპატრიოტთან თამაშს ამაცდინაო, მაგრამ ვერ ასცდა და ისევე როგორც მისკინასგან პარიზში, კუზნეცოვასგანაც ორ სეტში მოიგონა.

ამ გამარჯვებით კუზნეცოვა გახდა ყველაზე დაბალგანთესილი ქალი, ვისაც კი ოდესმე აშშ-ის ღია პირველობის მოგება მოჰხერხებია. ეს მისი მესამე საკარიერო ტიტულია და ამ ტიტულმა მას ზუსტად ერთი მილიონი დოლარი არგუნა. მის მიერ ფინალში ძლეულ მეტოქეს კი ზუსტად ნახევარი ხვდა წილად.

და კიდევ — დღეს გამოცემულ რეიტინგსიაში ისიც და დემენტიევაც პირადსარეკორდოდ მაღალ საფეხურებზე იდგებიან: პირველი მეექვსეზე, მეორე — მეხუთეზე.

**კაცები**

**ნახევარფინალი**

**როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — ტიმ ჰენმანი (5, ბრიტანეთი) 6:3, 6:4, 6:4; ლეიტონ ჰიუიტი (4, ავსტრალია) — იოახიმ იოჰანსონი (28, შვედეთი) 6:4, 7:5, 6:3**

როჯერ ფედერერი და ტიმ ჰენმანი ერთმანეთს უკვე მეცხრედ შეხვდნენ და, თუკი 30 წლის ბრიტანელი აქამდე 6:2-იან უპირატესობას მოიძევდა, ამის მერე უკვე გარდაუვლად აშკარა გახდა — დარჩენილი სხვაობის აღმოფხვრა ამქრის პირველოსნისთვის მხოლოდ დროის ამბავი იქნება.

ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს დახვეწილი ბრიტი ჭაბუკ მეტოქეს უბრძოლველად დანებებოდეს — ის კვლავაც რიგიანად აწვდიდა, ბადესთანაც ხშირად გადიოდა და არცთუ არაქათი გამოცლია. მაგრამ ფედერერის მრავალტაქტიკური და უნივერსალური ჩოგნაობის წინააღმდეგ მხოლოდ რაღაცის პატიოსნად კეთება არ კმარა — საჭიროა განსაკუთრებული სიშლეგე და სიკისკასე, რაიც საამმომენტოდ მხოლოდ ერთადერთ მეჩოგნეს, სახელდობრ კი, ავსტრალიელ ლეიტონ ჰიუიტს დაეკვეხება...

თუმცა ლეიტონზე ოდნავ მოგვიანებით. ახლა კი ბარემ იმასაც დავსძენთ, რომ აშშ-ის ღია პირველობის ფინალს მხიარულმა როჯერმა პირველად უწია [illegible] ოთხ ცდაზე ის სულაც მეოთხე წრესაც არ გასცილებოდა. შეგახსენებთ, რომ მან წლეულს უკვე მოიგო ავსტრალიის ღია პირველობა და უიმბლდონი და უკეთუ ნიუ იორკში გაპირველებასაც შეძლებს, შვედი მატს ვილანდერის ანუ 1988 წლის შემდეგ გახდება პირველი კაცმეჩოგნე, ერთ სეზონში სამი სლემტიტული რომ მოიმკა.

რაც შეეხება ჰიუიტს — აკი წინა ნომერშიც მოგახსენებდით — მისი და ახმახი შვედის იოახიმ იოჰანსონის სანახევარფინალო განდაგანას ერთგვარ პიკანტურობას სძენდა ის გარემოება, რომ ეს უკანასკნელი ლეიტონის დაიკოს, ჯასლინის მეგობარი ხვადია.

სავარაუდოდ, სიძე-ცოლისძმას საქმე სხვარიგად რომ ჰქონოდათ გასარჩევი, იოახიმი ლეიტონს — როგორც ერთი-ორად ჯანიანი — იოლად გაუსწორდება, მაგრამ კორტზე ჯანსა და ჰოვსილას ხშირად შემართება და ნიჭიერება ერევა ხოლმე.

ასე მოხდა ამჯერადაც: ტურნირის მთავარმეეისე შვედს, ვინაც მეოთხედფინალში ენდი როდიკს 30 გამჭოლი მოწოდება გადაუჭირა, დაულალავად მოფუსფუსე ლეიტონმა პირველ მოწოდებათა 82 პროცენტი „შეუბრუნა" და ჯამშიც მხოლოდ 17 ეისზე დააყაბულა. რაკილა მისმა მთავარმა იარაღმა ვერ გაჭრა, „სიძემ" „ცოლისძმის" დასამორჩილებლად სხვას ველარაფერს მიმართა. კისკასი ოზბიჭი კი კორტზე ნაგიჟარივით დარბოდა და მეტოქისთვის უდიდესი ძალისხმევის გარეშე არაფერი დაუთმია.

ფედერერის წინააღმდეგ წუხელღამ ის შეეცდებოდა, გამხდარიყო პირველი კაცმეჩოგნე ღია პირველობათა ეპოქაში ანუ 1968 წლიდან, ვინაც აშშ-ის ღია პირველობა სეტის წაუგებლად დაამთავრა. ვინმეს თუ გაუკვირდა, საიმისოდ მოვიგონებთ, რომ ფინალამდე ჰიუიტი ისე მივიდა, მეტოქეთათვის ერთი სეტიც არ დაუნებებია.

სხვაფრივ — ეს მისი და ფედერერის მეცამეტე შეხლა უნდა ყოფილიყო. გუშინდლამდე ავსტრალიელი 7:5 იგებდა, მაგრამ ამ მატჩზე გამფსონავს ისიც უნდა გაეთვალისწინებინა, რომ მათი ბოლო სამი მატჩი, რაც იგივეა — მათი სამი საამსეზონო დაპირისპირება უკლებლივ შვეიცარიელის გამარჯვებით დასრულდა. აქედან ორი — სხვათა შორის — როჯერმა სლემტურნირებზე მოიგო: ერთი ავსტრალიის ღია პირველობის მეოთხე წრეში, ხოლო ერთიც — უიმბლდონობის მეოთხედფინალში.

**ლევან ბელაურაძე**



მსოფლიოს თასი 2004 30 აგვისტო — 14 სექტემბერი

# ვინ დაგიმტკიცათ ჰოკეი?

## ფინელებმა ევროპა გამოფინეს

აშშ გავარდა, კანადა კი ძლივს გაძვრა... ორგანიზატორები ჩრდილოამერიკული ჰოკეის იმედად იყვნენ, ფინეთის და ჩეხეთის გადამკიდე კი ფინალი კინაღამ ევროპული გამოდგა

**ნახევარფინალი**

10 სექტემბერი

**აშშ 1:2 ფინეთი**

*0:0 1:0 0:2*

**1:0 უეიტი (33), 1:1 იოკინენი (46), 1:2 კოივუ (57)**

ამბობდნენ, ფინელები მსოფლიოს თასისთვის სერიოზულად არ ემზადებიან და საერთოდაც ამ ტურნირს განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ანიჭებენო. ამ დროს მათ ნახევარფინალში ორივე ფავორიტს ჩაუტარეს დასამახსოვრებელი გაკვეთილი.

პირველივე წუთებმა ცხადყო, რომ ორივე გუნდი დაცვას ანიჭებდა განსაკუთრებულ ყურადღებას. თუ ფინელთა მხრიდან ეს გასაგები იყო, მასპინძელთაგან მეტ აქტივობას მოელოდნენ. დრო გადიოდა, თამაში კი კვლავ ფხიზლად მიმდინარეობდა, თუმც ამ ფონზეც კი ჩანდა, რომ ფინეთი არაფერში ჩამოუვარდებოდა მეტოქეს. ევროპელები ძალისმიერ ბრძოლაშიც კი ყოჩაღობდნენ და მომენტებიც უფრო ხშირად იქმნებოდა აშშ-ს კართან.

თუმც ანგარიში მაინც ამერიკელებმა გახსნეს, სკოტ გომესის ჩინებული პასის შემდეგ დუგ უეიტმა უპრობლემოდ გაიტანა. როგორც გაირკვა, ეს მასპინძელთა ბოლო სიხარული იყო. მესამე პერიოდში ფინელებმა იყოჩაღეს და ჯერ მათგან ყველაზე აქტიურმა ოლი იოკინენმა დამატებაზე ივარგა, ხოლო მატჩის მიწურულს „სუომელთა" კაპიტანმა საკუ კოივუმ გადამწყვეტი დარტყმა მიაყენა მეტოქეს.

**კანადა 4:3 ჩეხეთი**

*0:0 2:1 1:2 1:0*

**1:0 ბრიუერი (32), 2:0 ლემიე (35), 2:1 ჩაიანეკი (36), 2:2 ჰავლატი 48), 3:2 დრეიპერი (54), 3:3 ელიაში (54), 4:3 ლეკავალიე (64)**

ასეთი სიმპათიური და თავხედი (ამ სიტყვის კარგი გაგებით) ჩეხეთი არასდროს გვინახავს. თავად განსაჯეთ, შაბათს ჩეხები ბრწყინვალედ თამაშობდნენ კანადასთან თამაშობდნენ, თან სად, ჰოკეის მექაში, ტორონტოში, სადაც კანადელებს მსოფლიოს თასის მატჩები არასოდეს არ წაუგიათ. მეტოქეები არათანაბარ პირობებში იყვნენ, თუმც ჩეხეთი მაინც თამაშობდა და თან როგორ! ამჯერად ევროპელები მართლაც რომ აოცებდნენ მნახველს როგორც განსწავლულობით, ასევე აქამდე არნახული აგრესიულობითა და თავდაჯერებით. პრაქტიკულად მთელი მატჩის განმავლობაში ჩეხები ფლობდნენ ინიციატივას, მომენტებში კი საერთოდ არ უშვებდნენ მეტოქეს თავისის ზონიდან. დარტყმებითაც 40-24 აჯობეს, მაგრამ რაღ გინდა, ბედი აშკარად კანადას უღიმოდა და, მიუხედავად დიდებული თამაშისა, ჩეხები მაინც დამარცხდნენ.

**სამველ ლარიბიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ბორჯომის თასი. თიხნარი. საპრიზო 10 000 $

ნახევარფინალი

მაკა ჩახნაშვილი (5, საქართველო) — ია ჯიქია (საქართველო) 4:6, 7:5, 6:4
მარია კონდრატიევა (1, რუსეთი) — სოფო მელიქიშვილი (3, საქართველო) 6:3, 4:6, 6:2

# თბილისში ქართველები მოგვიმრავლდნენ


გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

მაკა ჩახნაშვილი

90-იანი წლებიდან მოყოლებული, თბილისის ქალთა საერთაშორისო ტურნირების ფავორიტები ყოველწლიურად სტუმარი ჩოგბურთელები იყვნენ. ეს ტრადიცია ნელ-ნელა რომ ირღვევა, ამაში „ბორჯომის თასმა“ დაგვარწმუნა. ერთი ათიათასიანი შეჯიბრით დასკვნების გაკეთება სარისკო საქმე კია, მაგრამ მაინც ვიტყვით, ერთ-ორ წელიწადში ქართველი გოგონები მომხვდურებს ღირსეულად დაუხვდებიან.

„ბორჯომის თასის“ ნახევარფინალში რომ ერთბაშად სამი ჩვენებური გავიდა, წინა ნომერში გაუწყეთ. კარგი იქნებოდა, დღეს პირველი ქართული გამარჯვებაც გვეხარებინა, მაგრამ ხვალისთვის იყოს, რაკი გუშინ გასამართი ფინალი ჯერ რამდენიმე საათით უამინდობამ გადადო, შემდეგ კი გამოიდარა, თუმც პირდაპირი რეპორტაჟის ჩართვა აღარ მოხერხდა და ორგანიზატორ-მოთამაშეებმა უტელევიზიოდ თამაშს ერთი დღით მოცდა არჩიეს. ფინალისტთა გვარები შეგნებულად არ ვახსენეთ: ჯერ ნახევარფინალებზე ვიქვათ.

პირველი წყვილი ქართული იყო. ჩვენებურთაგან ყველაზე გამოცდილ მაკა ჩახნაშვილს ფინალის საგზურს ყველაზე გამოუცდელი ია ჯიქია ეცილებოდა. ფავორიტად, ცხადია, ჩახნაშვილი მიიჩნეოდა და იმარჯვა კიდეც, მაგრამ ორსათნახევრიანი თამაში შებრუნებული შედეგით რომ დამთავრებულიყო, არც ეს გაუკვირდებოდა ვინმეს. განსაკუთრებით დაძაბული მესამე სეტი გამოდგა — 15 წლის ჯიქიამ 1:5 ჩამორჩენის შემდეგ მიჯრით სამი გეიმი მოიგო და 4:5 მიუახლოვდა მაკას, მაგრამ მეტი ვეღარ შეძლო. ერთი გეიმიც რომ წამეგო, ალბათ თამაშსაც შემიტრიალებდა — გვითხრა მოგებულმა ჩახნაშვილმა. მართლა ბრწყინვალედ მოთამაშე ჯიქია კი შედეგით ერთად თავისი თამაშითაც უკმაყოფილო დარჩა. აცრემლებული მალევე გაარიდეს იჟურობას, რამდენიმე საათში ხომ უკვე 25-ათასიანი „ქართუს“ ტურნირის პირველი საკვალიფიკაციო შეხვედრა უწევდა. ბარემ აქვე გეტყვით — ადვილადაც მოიგო.

მეორე ნახევარფინალიც სამსეტიან ბრძოლაში ჩათამაშდა. სოფო მელიქიშვილი მასზე ბევრად გამოცდილ რუსს მარია კონდრატიევას ღირსეულად კი ებრძოლა, მაგრამ მესამე სეტის განავებმა აანერვიულა, შეცდომებსაც უმატა და იმ ორ ქულას ერთი გეიმიც ვეღარ წაამატა.

ჩახნაშვილი-კონდრატიევას ფინალი დღეს თორმეტ საათზე დაიწყება. დასწრება უფასოა.

**ოთარ მაღლაკელიძე**


გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

მარია კონდრატიევა



## საქართველოს ჩემპიონატი. II ტური

# ლელომ ჩემპიონი დაალელოვა

### ლოკომოტივი რელსებიდან გადავიდა

**ლელო 21:12 ლოკომოტივი**

**ლელო:** სანიკიძე, კობეშავიძე, ქუბრიაშვილი, კოპალიშვილი, გორგოძე, ენუქიძე, ვალიშვილი, სარდანაშვილი; თოფურია, ბარკალაია, ფირფილაშვილი, მქედლიშვილი, ტაბუციშვილი, ზალიშვილი (კოზაბიძე, ყიასაშვილი), ჯამრულიძე

2 ლელო: ენუქიძე (18), სარდანაშვილი (23)

1 გარდასახვა: ბარკალაია; 3 საჯარიმო: ყიასაშვილი

**ლოკომოტივი:** ქაფიანიძე, ჯოხია, სანაძე, დ. ღლენტი, გ. ღლენტი, გუნდიშვილი (მხეიძე), ტრაპაიძე, სანდღურაშვილი; ბერიძე, ხარიტაშვილი, ალანია, ანდღულაძე, ძნელაძე, გუგავა, ასათიანი

2 ლელო: ძნელაძე (46), გუგავა (67)

1 გარდასახვა: ხარიტაშვილი

**აკადემია 23:10 ყოჩები**

**აია 24:5 დათვები**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აკადემია | 2 | 2 | 0 | 0 | 38:21 | 4 |
| აია | 1 | 1 | 0 | 0 | 24:5 | 2 |
| ლელო | 2 | 1 | 0 | 1 | 42:35 | 2 |
| ყოჩები | 2 | 1 | 0 | 1 | 33:44 | 2 |
| ლოკომოტივი | 1 | 0 | 0 | 1 | 12:21 | 0 |
| დათვები | 2 | 0 | 0 | 2 | 16:39 | 0 |

ლევან მაისაშვილის „ლელომ“ გატეხა ნავსი და არსებობის მანძილზე პირველად მოერია „ლოკომოტივს“. პრინციპში, ამაში სენსაციური არც არაფერია — რკინიგზელებს ბევრი წამყვანი მორაგბე გამოაკლდათ და ვეჭვობ, ჩემპიონობა იოლად შეინარჩუნონ.

როგორც იქნა, გველრისა და „სარაგბო მეურნეობამ“ ვარკეთილის მეურნეობიდან „ლოკომოტივის“ სათადარიგო მინდორზე გამოინაცვლა, თუმც მომდევნო შაბათ-კვირას თბილისის უკიდურეს აღმოსავლეთში ისევ გაგორდება ოვალური ბურთი.

ჩვენი ჩემპიონატის კვალობაზე კარგი თვალსასეირო ჯახი გამოვიდა. პირველ ტურში „ყოჩებისგან“ ძლეულმა ლელოელებმა ლონივრად დაიწყეს, მეტოქის ნახევარზე დასახლდნენ და ტაიმის შუაწელს ორი მაღლიანი ლელოც დადეს: ჯერ მესამეხაზელმა თორნიკე ენუქიძემ გაჭრა მეტოქის ოცდაორის ხაზი, ხოლო მერე ბექა სარდანაშვილი მიკიბ-მოკიბულად გაუძვრა რკინიგზელებს. ამას „ლელოს“ 10 ნომერმა ოთარ ბარკალაიამაც მიაყოლა გარდასახვა — 12:0 და ტაიმიც აქ მორჩა.

ამჯერა იყო, თემურ ბენდიაშვილის „ლოკომოტივს“ ძალიან უჭირდა თამაშის დალაგება, რაც შერკინების ნახევარმცველის ბიძინა სამხარაძის წასვლითაც უნდა აიხსნას. თანაც, ჩემპიონებს პირველივე წუთებზე დაუშავდათ „უნივერსიტეტიდან“ წლეულს გადმოყვანილი „ბორჯღალოსანი“ ირაკლი გუნდიშვილი.

მეორე ტაიმის დაწყება და „ლოკომოტივის“ შტურმი ერთი იყო, რაც მალევე ძნელაძის ჯიქურ ლელოში გარდაისახა — 12:5. მეოდნის ყოველ გოჯზე ბრძოლა გაჩაღდა და ჩალურჯებული თვალები, წვივები და ქამრების სისხლი გახშირდა, მაგრამ თემურ ბენდიაშვილის ბიჭებმა მაინც ვერ გატეხეს მეტოქე. „ლელომ“ დერეფანშიც იმარჯვა და ნაკლები ჯარიმაც აიკიდა.

ინტრიგა გაალევა „ლოკოს“ გარემარბმა ლექსო გუგავამ: სალელოვე ხაზთან ახლოს ხანგრძლივი შეტევისა და მარაოს გაშლის შემდეგ თანაგუნდელებმა იგი მარჯვენა ფლანგზე გააქციეს და მანაც ანგარიში 15:12 გახადა.

ბოლო წუთებში ძალიან ჩაიხუთა თამაში, რკინიგზელებს აღარ ჰყავდათ ჯიქური მოიერიშე ზურაბ მასიურაძე (იტალიაში წავიდა) და ჯაჯგური უჭირდათ.

„ლელომ“ კი ისევ შეტევაში იყოჩაღა და კარგად წაადგა ჭაბუკი ირაკლი ყიასაშვილი, რომელმაც გადამწყვეტ წუთებში არცთუ მარჯვედ მოთამაშე ბარკალაიას საქმე იკისრა — ორჯერ მიიტყუა ზუსტი ჯარიმა და „ლოკომოტივს“ უიღბლო დებიუტი გამოუცხო.

ააი-მ ქუთაისში იოლად იმარჯვა, თუმც კლუბს კვლავ ფინანსური პრობლემები აქვს და შესაძლოა, ჩემპიონატიდან გაიროცხონ. პირველ ტურში ქუთაისურებმა თბილისში ჩამოსვლა ვერ მოახერხეს, რის გამოც „ლოკომოტივი“ — „აია“ მოგვიანებით გაიმართება ან აღარც გაიმართება...

**ილია ნანოგაშვილი**



# ვეღარ გაუჭრათ ფრანგულმა

**გუშინ** მალტაში დაიწყო 19-წლამდე წყალბურთელთა ევროპის ჩემპიონატი. საქართველოს ნაკრების პირველი მეტოქე საფრანგეთის გუნდი იყო.

ანგარიში ჩვენმა წყაბურთელებმა გახსნეს, მერე კი ფრანგებმა იმძლავრეს და ორი მეოთხედის ბოლოს 5:2 დაწინაურდნენ. ამის მერე ახლა ჩვენებმა გამოიჩინეს ფხა და მომდევნო ორი პერიოდი იმავე ანგარიშით მოიგეს.

საბოლოოდ, ეს მეტად მძიმე და დაძაბული თამაში ფრედ — 7:7 დასრულდა. ქართველთაგან ბურთები გაიტანეს რურუამ, ნიკოლაიშვილმა (2-2), კოტარიამ, ქენქაძემ და ბალათურიამ. მათ გარდა თავი გამოიჩინა ჩვენმა მეკარე ზურაბ ჭუმბურიძემ, რომელმაც რამდენიმე აუღებელი ბურთი აიღო და თანაგუნდელები წაგებას გადაარჩინა.

დღეს ქართველი ჭაბუკები სლოვაკ თანატოლებს ხვდებიან. პრაქტიკულად ახლა, სწორედ ამ შეხვედრაზეა დამოკიდებული შემდგომ ეტაპზე მედლებისთვის მებრძოლ გუნდებში ქართველთა მოხვედრა-არმოხვედრის საკითხი, რაკილა საქართველოს ნაკრები თავის ბოლო ჯგუფურ მატჩში შარშანდელ ჩემპიონსა და ახლაც ფავორიტ სერბეთს ხვდება. შეგახსენებთ, ჯგუფიდან მხოლოდ ორი გუნდი გადის და ერთი მათგანი უეჭველად სერბეთ-ჩერნიგორია იქნება.

**ავთანდილ ჭყვიშვილი**



# ახალგაზრდა ძიუდოისტებმა ევროპა შინ ჩამოიტანეს


ბადრი ქეთილაძის ფოტო

ორი ოქროდან ერთი
გიორგი შინჯიკაშვილისა (თეთრ კიმანოში) იყო

ამ უქმეებზე ქართველმა ძიუდოისტებმა ევროპას ერთხელაც დაუმტკიცეს თავისი ძალა. ათენის ოლიმპიადის შემდეგ ახალგაზრდების ჯერი იყო და მათაც სოფიაში გამართულ ევროპის 21-წლამდელთა პირველობაზე გუნდური ჩემპიონობა იზეიმეს. ბორის ფიცხელანის შეგირდებიდან ხუთი მედლამდე მივიდა. გრიგოლ შინჯიკაშვილი (81კგ) და ლევან რაზმაძე (100კგ) ჩემპიონები გახდნენ, ევროპის შარშანდელმა ჩემპიონმა და ოლიმპიადაზე ნაჭიდავებმა ლაშა გუჯეჯიანმა (მძიმე) ვერცხლი აიღო, ხოლო დავით ასუმბანმა (60კგ) და გრიგოლ ბაინდურაშვილმა (73კგ) გუნდს ბრინჯაოები შემატეს. უმედლოდ მხოლოდ ზაზა კედელაშვილი (66კგ) და ლომერ ჟორჟოლიანი (90კგ) დარჩნენ, თუმც როგორც საქართველოს დელეგაციაში მყოფმა მსაჯმა ვლადიმერ ნუცუბიძემ შეგვატყობინა, რომ არა მიკერძოება, თურმე მეტი მედლის აღებაც შეიძლებოდა.

„გუნდური ჩემპიონობისთვის ბრძოლა ჩვენს, რუსეთსა და ჰოლანდიას შორის მიდიოდა. მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარე ჰოლანდიელი სნაიდერსია და რა გასაკვირია, ყველაზე დიდი დახმარება მისიანებს რომ ჰქონოდათ. მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვის ხვდებოდა ქართველი, ყველას ემხრობოდნენ. მე და მერაბ ლოსეურაშვილი მხოლოდ იმით ვიყავით დაკავებული, ნაცნობი მსაჯებისთვის ობიექტურად მსაჯობა გვეთხოვა. ბიჭებმა მაინც ბრწყინვალედ იჭიდავეს და ოლიმპიადაზე უფროსი ძიუდოისტების გამარჯვებას თავისი წილიც მიამატეს.“

ეროვნული ბიბლიოთეკა





ბადრი კეთილაძის ფოტო



# 11 სექტემბერს კალათბურთი გაგვიცოცხლდა



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო



ბადრი კეთილაძის ფოტო



## US OPEN 2004 ნიუ იორკი. ჰარდი. საპრიზო 19 050 000 $



წუხელ ნიუ იორკში როჯერ ფედერერმა ლეიტონ ჰიუიტიც გაგორა და სეზონის ბოლო სლემტიტულიც დაისაკუთრა

REUTERS ნიუ იორკიდან


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი პირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი



რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge